საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 28 (48) | სამშაბათი, 12 თებერვალი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი

ხელისუფლების დერეფნებში

საქართველო — თურქეთი: თანამშრომლობა მტკიცდება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია და საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა შეხვდნენ და ესაუბრნენ ბათუმში კეთილი ნების ვიზიტად ჩამოსული თურქეთის პარლამენტარებისა და ბიზნესმენების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების, სამართალდამცავი ორგანოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკების წარმომადგენლობითი დელეგაციის თბილისში ჩამოსულ ჯგუფს. თურქეთის რესპუბლიკის ენერგეტიკის მინისტრის ფაჰრეთინ ქურთის მეთაურობით ჩამოსული ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ ქალაქ ტრაპიზონის გუბერნატორი ენვერ ხიზლანი, თურქეთის პარლამენტის დეპუტატები, საქმიანი წრეებისა და უმაღლესი სკოლის წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

გაიმართა საქმიანი, დაინტერესებული სჯა-ბაასი საქართველოს და თურქეთის საქმიანი და მეგობრული კონტაქტების მდგომარეობისა და შემდგომი გაფართოების პერსპექტივების შესახებ. დიალოგის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ბოლო ხანს წარმატებით ვითარდება ორი მეზობელი სახელმწიფოს მრავალმხრივი თანამშრომლობა, და ხაზი გაუსვეს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თანამშრომლობის თანამიმდევრულ გაღრმავებას, გამოთქვეს ორმხრივ ხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობის განმტკიცების კონკრეტული წინადადებანი. ამისათვის ფართო ასპარეზს ქმნის თურქეთისა და საქართველოს პარლამენტებისა და მთავრობების უკვე არსებული პირდაპირი კონტაქტები, რომლებიც ხელს უწყობს ორი ქვეყნის ნდობისა და ურთიერთგაგების, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოში გამართული საუბრების დროს ხაზგასმით აღინიშნა: ძალზე საჭიროა, რომ ეს კონტაქტები ივსებოდეს თვისებრივად ახალი შინაარსით, ნიადაგ ვითარდებოდეს და ღრმავდებოდეს ქართველი და თურქი ხალხების სასიკეთოდ. იმას, თუ რაოდენ ნაყოფიერი შეიძლება იყოს ეს კონტაქტები, დამაჯერებლად მოწმობს ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების შესახებ საქართველოს და თურქეთის ურთიერთგაგების მემორანდუმი, საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების თანამშრომლობის შესახებ გასული წლის დამლევს ხელმოწერილი ოქმის რეალიზაციის მიმდინარეობა, გზების მშენებლობის, სპეცტრანსპორტის მიწოდების, ტურიზმის განვითარების თაობაზე თურქეთის ფირმებთან დადებული ხელშეკრულებებისა და კონტრაქტების პირველი შედეგები... აი, თუნდაც, ამასწინანდელი, მეტად ნიშანდობლივი ფაქტი. როცა მიმდინარე ზამთარში საქართველომ ელექტროენერგიის მწვავე ნაკლებობა იგრძნო, შესაშური ოპერატიულობით გამოუწოდა დახმარების ხელი თურქეთმა: მეტად შემჭიდროებულ ვადებში დაიდო მორიგება, რომლის თანახმადაც დღეს პრაქტიკულად მთელი აჭარა უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით.

საქართველოს ხელმძღვანელებმა, „საქენერგოს" გაერთიანების, სხვა რესპუბლიკური უწყებების წარმომადგენლებმა, რომლებიც საუბარში მონაწილეობდნენ, გაწეული დახმარებისათვის გულწრფელი მადლობა გადაუხადეს თურქ სტუმრებს, და მათი სახით მეზობელი ქვეყნის ხელისუფალთ, ამასთან გამოთქვეს მთელი რიგი კონსტრუქციული წინადადებები თურქ პარტნიორებთან ურთიერთხელსაყრელი საქმიანი თანამშრომლობის გაფართოების შესახებ. კერძოდ, მხარი დაუჭირეს იდეას, რომ შეიქმნას თურქეთში ამჟამად სათბობის უქონლობის გამო უმოქმედო ხოფის ელექტროსადგურის ექსპლოატაციის მიზნით ერთობლივი საწარმო, რაც უკვე უახლოეს ხანში მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოში ელექტროენერგიის მოწოდებას. პრინციპული შეთანხმებაა მიღწეული მთელი რიგი სხვა პერსპექტიული პროექტების რეალიზაციის საქმეშიც. ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი აზრს, რომ შეიქმნას საქართველოს და თურქეთის საექსპორტო და საიმპორტო შესაძლებლობათა შემსწავლელი ერთობლივი სამსახური, რათა თანამიმდევრულად განვითარდეს და განმტკიცდეს ორი ქვეყნის ორმხრივ ხელსაყრელი ურთიერთობა.

საუბარში მონაწილეობდნენ თურქეთის რესპუბლიკის გენერალური კონსული ბათუმში ოქხან ათაკანი და ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე როსტომ დოლიძე, რომლებიც თურქ სტუმართა ჯგუფს ახლავან საქართველოს დედაქალაქში.

(საქინფორმი)

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ბ. გ. აბესაძის ქ. ტყიბულის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ბეჟან გოგიტას ძე აბესაძე ქ. ტყიბულის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 8 თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ა. ა. მაკარიძის თერჯოლის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს არჩილ ალექსანდრეს ძე მაკარიძე თერჯოლის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 8 თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

გ. გ. ცანავას აბაშის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს. პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს გიური გრიგოლის ძე ცანავა აბაშის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 8 თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ნ. ბ. ლიპარტელიანის ლენტეხის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ნოდარ ბიქტორის ძე ლიპარტელიანი ლენტეხის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 8 თებერვალი.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის **დადგენილებებით:**

თამაზ სერგოს ძე ცირეკიძე გათავისუფლებულია ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

გივი ვასილის ძე მაკარიძე გათავისუფლებულია თერჯოლის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

აკაკი ბაგრატის ძე ქობალავა გათავისუფლებულია აბაშის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

იოსებ გერონტის ძე მუკბანიანი გათავისუფლებულია ლენტეხის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქინფორმი

იმპერიული ჟურნალისტიკის დეზინფორმაცია

მორიგი პროვოკაციის სათავეებთან

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების მოსახლეთა შორის რუსული მოსახლეობა ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია და ყველანაირი პირობები აქვს საკუთარი ეროვნული სულიერი კულტურის გამოსახატავად. სწორედ ამან განაპირობა ის კეთილგანწყობილი თანაარსებობა, რომელიც დღემდე გრძელდება. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ურთიერთობა ხელს არ აძლევს ცენტრალურ ხელისუფლებას და ცდილობს პროვოცირების გზით ეთნოკონფლიქტის ახალი კერა შექმნას. ამ იდეას ემსახურება გაზეთ „იზვესტიაში" (7 თებერვალი) გამოქვეყნებული (საკავშირო პრესა ხალისით უთმობს პირველ გვერდს პასკვილებს, რომლებიც სახელს უტეხს ქართველ ერს) დეპეშა „რუსულენოვანი მოსახლეობა დახმარებას ითხოვს", სადაც ქართველობას ბრალს სდებენ რუსულენოვანი მოსახლეობის გენოციდში და ცენტრისაგან მოითხოვენ დროულ დახმარებას. სპეკულირებენ რა ტერმინით „რუსულენოვანი" ცდილობენ გაამძაფრონ არსებული პოლიტიკური ვითარება საქართველოში.

სწორედ ამ სიტყვაშია ჩადებული ახალი პროვოცირების იდეა, რომელსაც ცენტრი ცდილობს უხილავი ძაფებით დააკავშიროს შიდა ქართლის მოვლენებთან, რათა ეთნოკონფლიქტი საქართველოში უფრო ფართო მასშტაბით წარმოადგინოს. რაც შეეხება გენოციდს, რაზეც გაზეთი წერს, მთელი კატეგორიულობით უნდა განვაცხადოთ, რომ დღემდე არ ყოფილა და არ არის საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები რომელიმე ეროვნების შევიწროების და დისკრედიტაციის არც ერთი ფაქტი, რომელიც მათ წინააღმდეგ მიზანდასახულ მოქმედებაზე მიგვანიშნებდა.

და კიდევ ერთი. რატომ უგულებელყოფენ დეპეშის ავტორები საქართველოს კანონიერ მთავრობას და, მისი გვერდის ავლით, მიმართავენ ცენტრს? ხომ არ არის ეს დეპეშა ცენტრის იმ განზრახვის პრელუდია, რომ დაიკავოს პოზიცია, რომელიც გამოხატეს მოსკოვის ლიუბლინის რაიონის კომუნისტებმა გორბაჩოვისადმი მიმართვაში („მოსკოვსკაია პრავდა"), სადაც მოითხოვენ პრეზიდენტის პირდაპირი მმართველობის შემოღებას საქართველოში?!

ვფიქრობთ, დეპეშის მიზანი ცხადია: ცენტრი ცდილობს დეზინფორმაციაზე დაყრდნობით ჩაერიოს საქართველოს მმართველობის შინაგან სტრუქტურაში და დაუმორჩილოს უშუალოდ ცენტრის მმართველობას.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრი.

საკუთარ სახლში

დავამკვიდროთ მობილური, ავტორიტეტული ადგილობრივი ხელისუფლება

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მომავალი არჩევნებისათვის მზადების საკითხები, რესპუბლიკაში შექმნილი ახლანდელი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი განიხილეს საქართველოს ჰელსინკის კავშირის რაიონულ ორგანიზაციათა გამგეობის წევრების კრების მონაწილეებმა, რომელიც 10 თებერვალს გაიმართა თბილისის კინოს სახლში.

კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები — თელავის რაიონის პრეფექტი ავთანდილ რცხილაძე, საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ჭითავა, უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე თეიმურაზ ქორიძე, რომლებმაც აღნიშნეს, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომავალ არჩევნებში წარმატებას, განაცხადეს, რომ საჭიროა არჩევნებში მონაწილეობისათვის კავშირის კანდიდატურათა გულდასმით, გააზრებით შერჩევა. ესენი უნდა იყვნენ ავტორიტეტიანი პიროვნებანი, რომლებსაც მოსახლეობა ენდობა და უნარი შესწევთ განამტკიცონ ადგილებზე კანონიერება და მართლწესრიგი, და სრულიადაც არა დიქტატურის ახალი ფორმა, როგორც ამას აცხადებს და მოსახლეობას აშინებს ზოგიერთი ჩვენი მოწინააღმდეგე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ თავის გამოსვლაში, კერძოდ, აღნიშნა, რომ დღეს სიტუაცია ჩვენს რესპუბლიკაში უკიდურესობამდე დაძაბულია. ოსი ექსტრემისტები კვლავაც ხელს უწყობენ კრემლს, ჯიუტად უპირისპირდებიან უზენაეს საბჭოს კონგრესში გაერთიანებულ პარტიათა წარმომადგენლებიც. რაც შეეხება მათ მიერ 23 თებერვლისათვის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან დასახულ აქციას, ეს პროვოკაციაა, რომელიც მიზნად ისახავს გამოიწვიოს არმიის გამოსვლა საქართველოს კანონიერი, დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ. თუმცა ხალხი მხარს უჭერს მის მიერ არჩეულ პარლამენტს, ახალ მთავრობას და საკადრისად მიუზღავს ყოველ პროვოკატორს.

სხვა რა შეიძლება ეწოდოს, თუ არა თავხედური ბანდიტიზმი, საქართველოს ინტერესების უნამუსო ღალატი, აღნიშნა შემდეგ ორატორმა, თავდასხმას საქართველოს მილიციის განყოფილებებზე იარაღის გატაცების მიზნით, როცა იგი არ ჰყოფნით თვით სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს სამაჩაბლოში წესრიგის დასამყარებლად. ადგილებზე მრავალი სხვა დანაშაულებრივი მოქმედებაც ხდება. და ამისათვის წინააღმდეგობის გაწევას შეძლებს მხოლოდ მობილური ხელისუფლება, რომელიც საკადრის პასუხს გასცემს ანარქიასა და უკანონობას, ხელს შეუწყობს ჯეროვანი წესრიგის დამყარებას.

საქინფორმი

შიდა ქართლი

მოსკოვი, კრემლი, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს

პატივცემულო ბატონო მიხეილ!

უკიდურესად შეგვაშფოთა 1991 წლის 7 თებერვლის „იზვესტიის" პუბლიკაციამ სათაურით „რუსულენოვანი მოსახლეობა ითხოვს შველას". მასში ლაპარაკია ცხინვალის რუსულენოვანი მოსახლეობის შესახებ, რომელმაც მიხეილ გორბაჩოვს, ბორის ელცინისა და სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის ბორის პუგოს სახელზე გაგზავნა ტელეგრამები თხოვნით, „დაიცვას იგი ქართველ მოიერიშეთა თარეშისაგან".

ჩვენ საერთოდ დიდი ხანია შევეჩვიეთ დეზინფორმაციასა და სიმართლის დამახინჯებას მასობრივი ინფორმაციის ცენტრალური ორგანოების მხრიდან, რომლებიც ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მიმდინარე პროცესებს ასახავენ მრუდე სარკეში და ყველაფერს თავდაყირა აყენებენ. ისინი არწმუნებენ, რომ ადგილობრივი ოსური მოსახლეობა ხდება „მსხვერპლი ქართველ მოიერიშეთა მიერ წარმოებული გენოციდისა". იქმნება სახე აგრესორი-ერისა, რომელიც სპობს თავის ტერიტორიაზე ეროვნულ უმცირესობებს და სხვა ეროვნების ადამიანებს. ამავე დროს იფარება ის ფაქტები, რომ ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში დარბეულია სწორედ ადგილობრივი ქართული მოსახლეობა, მოკლულია ქართველი მილიციელები, მივლენილნი ამ რეგიონში წესრიგის დასაცავად, არის ათასობით ქართველი ლტოლვილი, აყრილი მშობლიური ადგილებიდან.

მაგრამ განსაკუთრებით შემაშფოთებელია აღნიშნულ პუბლიკაციაში ის, რომ აქ მოულოდნელად ჩნდება ახალი ფაქტორი — „რუსულენოვანი მოსახლეობა", რომელიც თხოვს ცენტრალურ ხელისუფლებას დაცვას ადგილობრივი „მოიერიშეებისაგან".

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი ეს კეთდება წინასწარ შემუშავებული და პრაქტიკაში მრავალგზის აპრობირებული სცენარით, რომლის მიხედვით „რუსულენოვანი მოსახლეობა" უნდა გამოჩნდეს, როგორც წესი, მოვლენათა განვითარების დასკვნით ეტაპზე, უშუალოდ ჯარის სპეციალური დამსჯელი ნაწილების ამოქმედების წინ, ტანკების, ჯავშანტრანსპორტიორების, სასანგრე ნიჩბებისა და მომწამლავი ნივთიერებების გამოყენებით. ამასთანავე საჯარისო ნაწილების ყოველი ასეთი სისხლიანი ჩარევის შემდეგ ირკვევა, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა და უმაღლესმა პოლიტიკურმა და სამხედრო ხელისუფლებამ, არაფერი იცოდა ტრაგიკული მოვლენების თაობაზე და გაიგო ამის შესახებ მხოლოდ მომხდარი ფაქტის შემდეგ.

ვშიშობ, რომ საქართველო იმყოფება ამჟამად ჩვენთვის თავს მოხვეულ ეთნიკონფლიქტებთან დაკავშირებულ მოვლენათა განვითარების სწორედ ამ უკანასკნელ, სამხედრო დარტყმის წინა სტადიაზე, რაც მაიძულებს წინასწარ გაცნობოთ თქვენ საქართველოს რესპუბლიკის მიმართ სისხლიანი აქციის შესაძლო განხორციელების შესახებ.

მოგმართავთ თხოვნით, მიიღოთ სასწრაფო ზომები და აგვაცილოთ მოსალოდნელი სამხედრო ჩარევა და, ახალი სისხლიანი კატასტროფა.

პატივისცემით,
თამაზ გამყრელიძე,
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, საკავშირო სახალხო დეპუტატი, აკადემიკოსი.
თბილისი, 10 თებერვალი, 1991

სიმართლე ერთია

არ ვყოფილვარ ომის დროს ლენინგრადში. მაგრამ ერთ რამეში (და მხოლოდ ერთში) მზად ვარ დავეთანხმო ცენტრალური ტელევიზიის ცნობას. დღეს ვითარება ცხინვალში, შესაძლოა, გარეგნულად მართლაც რაღაცით მოგვაგონებდეს იმ დროინდელ ნევისპირა ქალაქში შექმნილ სიტუაციას. ქალაქში, და საერთოდ მთელ შიდა ქართლში, არ არის ელექტროენერგია და წყალი, დარღვეულია კავშირი, დგას ტრანსპორტი, არ მუშაობენ საწარმოები და ორგანიზაციები, განიცდიან სურსათის მწვავე უკმარისობას. აქ იღვრება ადამიანების სისხლი. და, ისევე როგორც ომის დროს, არიან ლტოლვილები.

ალბათ, ვერავინ ვერ შეძლებს ზუსტად დაასახელოს იმ ქართველების რაოდენობა, რომლებიც იძულებული გახდნენ აყრილიყვნენ მშობლიური ადგილებიდან და ახლა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში ცხოვრობენ. მაგალითად, თბილისში ივანე მაჩაბლის საზოგადოებამ ასეთი დაახლოებით შვიდასი ოჯახი გაატარა რეგისტრაციაში, ანუ თითქმის სამი ათასი კაცი. მარტო საქართველოს დედაქალაქის სასტუმრო „აფხაზეთში" 8 თებერვლის დილის მონაცემებით ცხოვრობს 426 ლტოლვილი, რომელთაგან თითქმის მესამედი ბავშვებია.

იმათი თხოვნით, ვისთანაც მოვახერხე ლაპარაკი, არ დავასახელებ აქ არც ერთ გვარს. მაგრამ ინფორმაციის უტყუარობისათვის საკუთარი თავით ვაგებ პასუხს. ორმოცი წლის ცხინვალელი ქალი წამოვიდა ქალაქიდან და სასტუმროში ოთხ ბავშვთან ერთად ცხოვრობს, რომელთაგან უმცროსი ხუთი წლისაა. ქმარმა ვერ შეძლო წამოსვლა სოფელ აჩაბეთიდან. როგორც თამარაშენი, კეხვი, ქურთა, ეს სოფელიც ოსი ექსტრემისტების მიერ ბლოკირებულია ცხინვალისა და ჯავის რაიონის მხრიდან. სხვათა შორის, კეხვში ამ ქალს ხუთი ძმა ჰყავს, რომელთა ამბავი მან ასევე არ იცის. სამაგიეროდ, როგორც მოგვიანებით ჩამოსულებმა უთხრეს, იცის რომ მისი სახლი ქალაქში გაუძარცვავთ, როგორც გაუძარცვავთ ოს ექსტრემისტებს ცხინვალის მკვიდრი კიდევ ერთი მრავალშვილიანი დედის სახლი. იგი ემადლიერება იმათ, ვინც შეიკედლა თბილისში, მისცა თავშესაფარი, მხარში ამოუდგა მორალურად, გაუწია მატერიალური დახმარება. მათი მეცადინეობით უფროსი გოგონები უკვე წავიდნენ სკოლაში. სამი წლის მარიამი კი ამ დღეებში წავა საბავშვო ბაღში, მაგრამ განა რამე ანაზღაურებს ტანჯვაწამებასა და დანაკარგს. ანდა რისთვის გახდა საჭირო ყოველივე ამის ანაზღაურება ამ ხალხისათვის, რომელთა რიცხვი ყოველდღე იზრდება? ცხინვალში ქართული ეროვნების ადამიანები პრაქტიკულად აღარ დარჩნენ.. ვერტმფრენით ჩამოვიდა ლტოლვილთა ჯგუფი აჩაბეთიდან. და ამას ბოლო არ უჩანს.

მოდით ვისარგებლოთ ცნობილი დეტექტივის რჩევით და შევეცადოთ გავარკვიოთ, თუ ვის აძლევს ხელს ყოველივე ის, რაც შიდა ქართლში ხდება. ქართველებს, რომლებიც ათასობით ტოვებენ იმ ადგილებს, სადაც მათი წინაპრების მრავალი თაობა ცხოვრობდა, ლტოლვილებად რომ იქცნენ საკუთარ სამშობლოში? რასაკვირველია, არა. იქნებ, ოსებს? რაღაც, არც ეს გვჯერა. ვერ დავივიწყებთ ოსი გოგონას ცრემლით სავსე თვალებს, რომელსაც გამოველაპარაკე ცხინვალში. იგი მიამბობდა თავის ნაცნობზე, რომელიც ტყვიით მოკლეს, თან სულ იმას ამბობდა: „რა ღირსეული ბიჭი იყო! სასტუმრო „აფხაზეთში" კი შევხვდი შერეული ოჯახების წარმომადგენლებს.

ერთ-ერთი ასეთი ოჯახის უფროსი — ოსი შემრიგებლურად იყო განწყობილი, რითაც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. თანაც, ცნობილი გახდა, რომ შინ (ხედავთ რა დანაშაულია!) საქართველოს რესპუბლიკის დროშა ჰქონია. მას სახლში ღამით, შეუვარდა ექსტრემისტთა ჯგუფი და იარაღის მუქარით აიძულა ოჯახი დაეტოვებინა ქალაქი. სახლი გაძარცვეს. ამ კაცმა მიამბო, რომ უნახავს, თუ ერთხელ სამხედრო მანქანიდან ფორმიანი ადამიანები როგორ აწვდიდნენ იარაღს ოსი ეროვნების სამოქალაქო პირებს.

— რა საჭიროა, — მითხრა ამ კაცმა, — უჩვენონ ცენტრალური ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებაში გადაბუგული ქართული სკოლა და ამტკიცონ, რომ ეს ოსური სკოლაა, რომელიც ქართველმა ექსტრემისტებმა დაწვეს? ან ილაპარაკონ ოსების სავალალო მდგომარეობაზე, როცა კადრში ჩანდა ჩემთვის კარგად ნაცნობი ქართველი ქალის ცრემლიანი სახე?

აქ ხომ არ იმალება პასუხი კითხვაზე? ყოველივე რაც ხდება ხელს აძლევს იმათ, ვისაც ბანს აძლევენ ეს და მათი მსგავსი არცთუ ნამუსიანი ჟურნალისტები.

დევი ბერძენიშვილი,
საქინფორმის სპეც. კორ.

ვითარება ცხინვალში

10 თებერვალს ღამით ცხინვალში შედარებით სიმშვიდე იყო, არ ისმოდა სროლა, მაგრამ პატრულმა ერთ-ერთ ქუჩაზე შეამჩნია ორი მოქალაქე როგორ ძარცვავდა ბინას. ისინი არ დაემორჩილნენ პატრულის ბრძანებას და შეეცადნენ გაქცევას. ერთი მათგანი, გვარად გაგლოევი, დაჭრილი და დაკავებულია, მეორემ მოასწრო მიმალვა.

წინა ღამით პატრულმა დააკავა თეთრი ფერის უნომრო „ჟიგული", რომელშიც ოსი ეროვნების ორ მოქალაქესთან ერთად იჯდა მაიორის ფორმიანი სამხედრო მოსამსახურე. მანქანის გასინჯვისას შიგ აღმოჩნდა კალაშნიკოვის სისტემის ავტომატი ორი მჭიდით და თექვსმეტი საბრძოლო ვაზნით. სამხედრო მოსამსახურე აღმოჩნდა მაიორი სოფრონოვი, 21-ე ცალკეული სადესანტო ბრიგადის სამხედრო მოსამსახურე. ეს ნაწილი ამ რამდენიმე ხნის წინათ ქუთაისიდან გადმოიყვანეს.

11 თებერვალს დღისით ცხინვალსა და მის მიმდებარე სოფლებში სიმშვიდე იყო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი, საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქალაქ ცხინვალის ტერიტორიაზე საგანგებო წესების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ქალაქ ცხინვალის ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით გამოცხადებული საგანგებო წესების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 1991 წლის 12 მარტამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 11 თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 29 იანვარი.

საქართველოს რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

რეფერენდუმის შესახებ

თავი I

მუხლი 1. რეფერენდუმის ცნება

რეფერენდუმი არის საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით სახელმწიფოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის, საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიღების, საზოგადოებრივი აზრის გამოვლინების საშუალება.

მუხლი 2. რეფერენდუმის მოწყობის ძირითადი პრინციპები

რეფერენდუმის მოწყობის ძირითადი პრინციპებია: საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრა, მასში მოქალაქეების თავისუფალი მონაწილეობა და მათი ნება-სურვილის გამოვლინებისადმი კონტროლის დაუშვებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები რეფერენდუმში მონაწილეობენ უშუალოდ და პირადად; რეფერენდუმის ყოველ მონაწილეს აქვს ერთი ხმა.

მუხლი 3. რეფერენდუმის მონაწილეები

რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებსაც რეფერენდუმის ჩატარების დღისათვის შეუსრულდათ 18 წელი, გარდა იმ მოქალაქეებისა, რომლებსაც, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ.

მუხლი 4. სარეფერენდუმო საკითხები და რეფერენდუმის სახეები

რეფერენდუმზე შეიძლება გამოტანილ იქნეს წინადადებები იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, განეკუთვნება რესპუბლიკის კომპეტენციას.

რეფერენდუმის საგანი შეიძლება იყოს:

1) საქართველოს რესპუბლიკის ახალი კანონის მიღება;
2) საქართველოს რესპუბლიკის კანონის ან მისი ცალკეული დებულებების გაუქმება ან შეცვლა;
3) ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს რესპუბლიკის კანონების ან სხვა აქტების ძირითად შინაარსს;
4) საქართველოს რესპუბლიკისათვის სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის გამოვლინება.

რეფერენდუმი ტარდება საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეფერენდუმი შეიძლება ჩატარდეს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციითა და ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობას განეკუთვნება.

ავტონომიურ რესპუბლიკაში რეფერენდუმის ჩატარების წესი განისაზღვრება ამ კანონითა და ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი კანონით.

მუხლი 5. საჯაროობა რეფერენდუმის მომზადებისა და მოწყობის დროს

სარეფერენდუმო კომისიები რეფერენდუმს ამზადებენ და აწყობენ ღიად და საჯაროდ.

სარეფერენდუმო კომისიები მოქალაქეებს აწვდიან ინფორმაციას თავიანთი საქმიანობის შესახებ, კენჭისყრისათვის უბნების შექმნის, კომისიების ადგილსამყოფელისა და სამუშაო საათების, კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მქონე მოქალაქეების სიების თაობაზე.

სარეფერენდუმო კომისიების სხდომებს, აგრეთვე კენჭისყრასა და უბნებში ხმების დათვლას შეიძლება დაესწრონ პოლიტიკური პარტიების, მასობრივი მოძრაობების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და საინიციატივო ჯგუფების სამისოდ წერილობით უფლებამოსილი წარმომადგენლები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ფართოდ აშუქებენ რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარების მიმდინარეობას: ამ მიზნით სარეფერენდუმო კომისიები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აწვდიან საჭირო ინფორმაციას.

მუხლი 6. რეფერენდუმთან დაკავშირებული აგიტაცია

მოქალაქეებს, პოლიტიკური პარტიების, მასობრივი მოძრაობების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და საინიციატივო ჯგუფებს გარანტირებული აქვთ თავისუფალი აგიტაციის უფლება რეფერენდუმის ჩატარების ან არჩატარების, სარეფერენდუმოდ გამოტანილი კანონის თუ სხვა გადაწყვეტილების მიღების ან არმიღების შესახებ. ამ მიზნით მათ შეუძლიათ გამოიყენონ საკუთარი სახსრებიც. რეფერენდუმის ჩატარების დღეს აკრძალულია სარეფერენდუმოდ გამოტანილ საკითხთან დაკავშირებული ყოველგვარი აგიტაცია.

სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხები საჯაროდ უნდა იხილებოდეს კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების ჩატარების წესის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 7. რეფერენდუმის მომზადებისა და მოწყობის მატერიალური უზრუნველყოფა

რეფერენდუმის მომზადება და მოწყობა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები უზრუნველყოფენ რეფერენდუმის მომზადებისა და მოწყობისათვის საჭირო შენობების, მოწყობილობების გამოყოფასა და მომზადებას.

მუხლი 8. რეფერენდუმის დანიშვნის უფლება

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად რეფერენდუმს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ხოლო მის მომზადებასა და ჩატარებას ორგანიზაციას უწევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

(დასასრული მე-2 გვ.)

საქართველოს რესპუბლიკის კანონი
რეფერენდუმის შესახებ

(დასასრული).

თავი II
რეფერენდუმის მომზადება და დანიშვნა

მუხლი 9. რეფერენდუმის დანიშვნის ინიციატივა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო რეფერენდუმს ნიშნავს:

ა) საკუთარი ინიციატივით;

ბ) რეფერენდუმში მონაწილეობის უფლების მქონე არანაკლებ სამასორმოცდაათი ათასი მოქალაქის მოთხოვნით.

მუხლი 10. რეფერენდუმის ჩატარების საინიციატივო ჯგუფი

იმ შემთხვევაში, როცა რეფერენდუმის მოწყობის ინიციატივა ეკუთვნით მოქალაქეებს, იქმნება საინიციატივო ჯგუფი. საინიციატივო ჯგუფის სიაში მითითებული უნდა იყოს მისი თითოეული წევრის სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი. სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი საინიცატივო ჯგუფმა უნდა ჩამოაყალიბოს მკაფიოდ, რათა მასზე გაცემული პასუხი იყოს ცალსახა.

საინიციატივო ჯგუფი ცენტრალურ სარეფერენდუმო კომისიას მიმართავს თხოვნით რეგისტრაციაში გაატაროს ჯგუფის მიერ სარეფერენდუმოდ შეთავაზებული საკითხი. საკითხის ფორმულირება შეიძლება დაზუსტდეს საინიციატივო ჯგუფთან შეთანხმებით.

ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია სარეფერენდუმოდ შემოთავაზებულ საკითხს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისი კომისიის აზრის გათვალისწინებით, აგრეთვე საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობას ატარებს რეგისტრაციაში და ამის შესახებ რესპუბლიკურ გაზეთებში აქვეყნებს ინფორმაციასა და მისამართს, რომლითაც უნდა გაიგზავნოს მოქალაქეთა ხელმოწერების ფურცლები.

სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი შეიტანება მოქალაქეთა ხელმოწერების ფურცლებში.

რეგისტრაციის მოწმობა საინიციატივო ჯგუფს მიეცემა რეგისტრაციაში გატარების მიმართვიდან ერთი თვის განმავლობაში.

რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმა დასაშვებია თუ დარღვეულია ამ კანონის მოთხოვნები.

საინიციატივო ჯგუფს შეუძლია რეგისტრაციაში გატარებაზე უარის მიღებიდან ხუთი დღის ვადაში გაასაჩივროს უარი საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში. უზენაესი სასამართლო ხუთი დღის ვადაში განიხილავს საჩივარს და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

მუხლი 11. ხელმოწერების შეგროვების წესი და ვადები

საინიციატივო ჯგუფი ხელმოწერების შეგროვებას იწყებს რეგისტრაციის მოწმობის მიღების დღიდან.

ხელმოწერები უნდა შეგროვდეს საინიციატივო ჯგუფთან შეთანხმებული და ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის მიერ დადგენილი ნიმუშის ფურცელზე. ყოველ ასეთ ფურცელზე ხელი უნდა მოაწეროს არა უმეტეს 50 მოქალაქემ, რომლებმაც თავად უნდა ჩაწერონ სიაში სახელი, მამის სახელი, გვარი, დაბადების წელი, პასპორტის სერია და ნომერი, მისამართი და ხელმოწერის თარიღი. ზემოაღნიშნული მონაცემებით შევსებულ ყოველ ფურცელს ხელს აწერს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და მისი ხელმოწერა უნდა დამოწმდეს სანოტარო კანტორაში ან სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოში.

ხელმოწერების შეგროვების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციის მოწმობის გაცემის დღიდან.

მუხლი 12. ხელმოწერების შეგროვების შედეგების განხილვა

შევსებული ხელმოწერილი ფურცლები იგზავნება საინიციატივო ჯგუფში, რომელიც ადგენს კრებსით მონაცემებს ხელმოწერების შეგროვების შედეგების შესახებ და მოქალაქეთა მიერ ხელმოწერილი ფურცლები თურთ უგზავნის ცენტრალურ სარეფერენდუმო კომისიას რეგისტრაციის მოწმობის მიღების დღიდან არა უგვიანეს 3 თვისა.

ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია ამოწმებს შემოსულ მასალებს და თუ მიიჩნევს, რომ მასალები არ ეწინააღმდეგება ამ კანონის მოთხოვნებს, თავის დასკვნასა და საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნას რეფერენდუმის ჩატარების შესახებ წარუდგენს უზენაეს საბჭოს მასალების შემოსვლიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

თუ შემოწმებისას მასალებში აღმოჩნდება უმნიშვნელო დარღვევები ან ხელმოწერების მცირე ნაკლებობა (საერთო რაოდენობის 0,5 პროცენტი), კომისია საინციატივო ჯგუფს აძლევს წინადადებას მასალები მოაწესრიგოს ათი დღის ვადაში. დარღვევების დროულად აღმოფხვრის შემთხვევაში საქმის მსვლელობა გაგრძელდება დადგენილი წესით.

ხელმოწერების შეგროვების ვადის არასაპატიო მიზეზით დაუცველობის, არასაკმარისი რაოდენობის შეგროვებულ ან წარდგენილ დოკუმენტებში კანონის მნიშვნელოვანი დარღვევების, ყალბი ჩანაწერების ან ხელმოწერების შეგროვების ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევის დადგენის შემთხვევაში ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია ამ მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულ მასალებსა და თავის უარყოფით დასკვნას წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

თუ დადგინდა, რომ მოქალაქემ ორჯერ და მეტჯერ მოაწერა ხელი განცხადებას რეფერენდუმის ჩატარების შესახებ, მისი ყველა ხელმოწერა ბათილად ითვლება.

მუხლი 13. რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება

რეფერენდუმის საკითხი საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს შეაქვს თავისი მორიგი სხდომის ან სესიის დღის წესრიგში.

რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იღებს ერთ რომელიმე გადაწყვეტილებას:

1) რეფერენდუმის თარიღის დანიშვნისა და მისი მოწყობის უზრუნველყოფის შესახებ;

2) რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნაში გათვალისწინებული კანონისა თუ სხვა გადაწყვეტილებას ურეფერენდუმოდ მიღების შესახებ;

3) რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნის უარყოფის შესახებ. ასეთი გადაწყვეტილების მიღება შეიძლება მხოლოდ ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში.

რეფერენდუმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა უმრავლესობა.

რეფერენდუმის მოწყობის შესახებ დადგენილებაში მოცემული უნდა იყოს მისი მოწყობის თარიღი, სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის ზუსტი ფორმულირება, უნდა განისაზღვროს დაფინანსებისა და რეფერენდუმის მოწყობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. ეს დადგენილება მოსახლეობას ეცნობება რესპუბლიკური პრესით და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით არა უგვიანეს 7 დღისა მისი მიღებიდან.

მუხლი 14. რეფერენდუმის მოწყობის ვადები

რეფერენდუმი ეწყობა არა უადრეს ორი და არა უგვიანეს ექვსი თვისა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ დადგენილების მიღების დღიდან.

გამონაკლის შემთხვევებში უზენაეს საბჭოს შეუძლია დაადგინოს რეფერენდუმის მოწყობის სხვა ვადები.

თავი III
რეფერენდუმის მოწყობის წესი

მუხლი 15. სარეფერენდუმო კომისიები

რეფერენდუმის მომზადებასა და მოწყობას უზრუნველყოფენ:

ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია;

საოლქო სარეფერენდუმო კომისიები;

საუბნო სარეფერენდუმო კომისიები.

ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიისა და საოლქო სარეფერენდუმო კომისიების მოვალეობების შესრულება ეკისრებათ შესაბამისად — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ და საოლქო საარჩევნო კომისიებს. საუბნო სარეფერუნდომო კომისიებს ქმნის ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საარჩევნო კანონის შესაბამისად საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნისათვის დადგენილი წესით.

მუხლი 16. სარეფერენდუმო კომისიების რეგლამენტი

ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია მუშაობას იწყებს რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ დადგენილების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს ათი დღისა, საოლქო სარეფერენდუმო კომისიები — რეფერენდუმის ჩატარების დღემდე თვე-ნახევრით ადრე და საუბნო სარეფერენდუმო კომისიები — ერთი თვით ადრე.

სარეფერენდუმო კომისიები მუშაობას წყვეტენ რეფერენდუმის შედეგების ოფიციალურად გამოცხადებისთანავე.

მუხლი 17. საინიციატივო ჯგუფის წევრთა მონაწილეობა სარეფერენდუმო კომისიების მუშაობაში

თუ რეფერენდუმი დანიშნულია ამ კანონის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტში მითითებული მოქალაქეების მოთხოვნის საფუძველზე საინიციატივო ჯგუფის თხოვნით, ამ ჯგუფის ორ-ორი წარმომადგენელი შეიძლება შეყვანილ იქნეს ყველა ან რომელიმე რგოლის სარეფერენდუმო კომისიის შემადგენლობაში, კომისიის სხვა წევრებთან თანაბარი უფლებებით.

მუხლი 18. სარეფერენდუმო კომისიების უფლებამოსილება

ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია რეფერენდუმამდე 40 დღით ადრე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (პრესა, ტელევიზია, რადიო) აქვეყნებს იმ საოლქო სარეფერენდუმო კომისიების სიას, რომლებსაც დაევალათ შესაბამის ტერიტორიებზე უხელმძღვანელონ რეფერენდუმის მომზადებასა და ჩატარებას.

რეფერენდუმის მომზადებისა და მოწყობის პერიოდში

ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია:

1) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აკონტროლებს ამ კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას. საჭიროების შემთხვევაში განმარტავს კანონს:

2) რაიონებში (ქალაქებში, ქალაქის რაიონებში) არსებული საოლქო სარეფერენდუმო კომისიებიდან შეარჩევს თითო კომისიას და ავალებს მას უხელმძღვანელოს შესაბამისი რაიონის (ქალაქის, ქალაქის რაიონის) ტერიტორიაზე რეფერენდუმის მომზადებასა და მოწყობას; კოორდინაციას უწევს ამ საოლქო კომისიების საქმიანობას და ადგენს მათ შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის წესს;

3) კომისიებს შორის ანაწილებს რეფერენდუმის მოწყობისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ თანხებს, აკონტროლებს საოლქო კომისიების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;

4) ადგენს რეფერენდუმის მომზადებისა და მოწყობისათვის საჭირო დოკუმენტების ფორმასა და მათი შენახვის წესს;

5) ისმენს სახელმწიფო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ინფორმაციებს რეფერენდუმის მომზადებასთან და მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

6) ადგენს რეფერენდუმის შედეგებს რესპუბლიკის მასშტაბით აქვეყნებს რეფერენდუმის საბოლოო შედეგებს;

7) იხილავს საჩივრებს სარეფერენდუმო კომისიების გადაწყვეტილებებისა და ქმედებების შესახებ, იღებს საბოლოო გადაწყვეტილებებს მათ თაობაზე.

საოლქო სარეფერენდუმო კომისია:

1) აკონტროლებს შესაბამის ტერიტორიაზე ამ კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას;

2) კოორდინაციას უწევს საუბნო სარეფერენდუმო კომისიების მუშაობას;

3) ხელს უწყობს სარეფერენდუმო საკითხის საჯარო განხილვას რაიონის (ქალაქის, ქალაქის რაიონის) ტერიტორიაზე;

4) ისმენს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელების ინფორმაციებს რეფერენდუმის მომზადებასთან და მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

5) საუბნო სარაფერენდუმო კომისიებს დროულად უზრუნველყოფს სარეფერენდუმო ბიულეტენებით;

6) ადგენს რეფერენდუმის შედეგებს რაიონში (ქალაქში, ქალაქის რაიონში);

7) იხილავს საუბნო სარეფერენდუმო კომისიების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ საკითხებს და იღებს გადაწყვეტილებებს მათ შესახებ.

საუბნო სარეფერენდუმო კომისია:

1) მოქალაქეებს აცნობს კენჭისყრის მონაწილეთა სიებს, იხილავს განცხადებებს სიებში არსებული უსწორობების შესახებ და წყვეტს მათში სათანადო ცვლილებების შეტანის საკითხს;

2) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლკის კანონის შესაბამისად მოქალაქეებს აძლევს კენჭისყრის უფლების მოწმობებს;

3) რეფერენდუმამდე 10 დღით ადრე აცნობებს მოქალაქეებს რეფერენდუმის დღესა და ადგილს;

4) უზრუნველყოფს კენჭისყრისათვის საჭირო შენობის, ურნების და კაბინების მომზადებას;

5) რეფერენდუმის დღეს ორგანიზაციას უწევს კენჭისყრას;

6) აჯამებს სარეფერენდუმო უბანში კენჭისყრის შედეგებს;

7) იხილავს განცხადებებსა და საჩივრებს რეფერენდუმის მომზადებისა და კენჭისყრის ორგანიზაციის საკითხებზე და იღებს გადაწყვეტილებებს მათ გამო.

მუხლი 19. რეფერენდუმის მოსაწყობი სარეფერენდუმო უბნები

მმართველობის ადგილობრივი ორგანოები რეფერენდუმამდე ერთი თვით ადრე ადგილობრივ პრესაში აქვეყნებენ შესაბამის ტერიტორიაზე შექმნილი სარეფერენდუმო უბნების სიას საზღვრების, საუბნო სარეფერენდუმო კომისიების ადგილსამყოფელისა და კენჭისყრის ადგილების მითითებით.

აუცილებლობის შემთხვევაში მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ცვლიან საზღვრებს სარეფერენდუმო უბნებს შორის ან ქმნიან ახალ უბნებს და საუბნო სარეფერენდუმო კომისიებს.

მუხლი 20. რეფერენდუმის მონაწილეთა სიები

რეფერენდუმის მოსაწყობად გამოიყენება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისათვის შედგენილი ამომრჩეველთა სიები.

მმართველობის ადგილობრივი ორგანოები უზრუნველყოფენ მოქალაქეთა სიებში სათანადო ცვლილებების შეტანას.

საუბნო სარეფერენდუმო კომისიებს მოქალაქეთა სიები საჯარო გაცნობისათვის გამოაქვთ რეფერენდუმამდე 15 დღით ადრე.

მუხლი 21. სარეფერენდუმო ბიულეტენი

სარეფერენდუმო ბიულეტენში აღნიშნული უნდა იყოს მოქალაქეებისადმი მიმართული კითხვა სარეფერენდუმოდ გამოტანილ საკითხთან დაკავშირებით და ამ კითხვაზე პასუხის შესაძლო ვარიანტები: „დიახ“ — „არა“.

ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია ადგენს სარეფერენდუმო ბიულეტენის ფორმას, უზრუნველყოფს საჭირო რაოდენობით მათ დამზადებას და რეფერენდუმამდე 10 დღით ადრე ამ ბიულეტენებით საუბნო სარეფერენდუმო კომისიების მომარაგებას.

საუბნო სარეფერენდუმო კომისიებისათვის ბიულეტენების გადაცემის შესახებ დგება აქტი მათი რაოდენობისა და თარიღის მითითებით. აქტის ერთი პირი ინახება შესაბამის საოლქო სარეფერენდუმო კომისიაში.

სარეფერენდუმო ბიულეტენები იბეჭდება ქართულ ენასა და აფხაზურ ენაზე (აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე), აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში სარეფერენდუმო ოლქის მოსახლეობის რომელიმე ნაწილისათვის გასაგებ სხვა ენაზეც.

მუხლი 22. კენჭისყრის მოწყობა

რეფერენდუმის დღეს კენჭისყრა წარმოებს 7 საათიდან 20 საათამდე. საუბნო სარეფერენდუმო კომისიას შეუძლია კენჭისყრა დამთავრებულად გამოაცხადოს ნებისმიერ დროს, თუ მასში მონაწილეობა მიიღო სიაში შეტანილმა ყველა მოქალაქემ.

კენჭისყრა ეწყობა საგანგებოდ გამოყოფილ შენობაში, რომელშიც მოწყობილია საკმაო რაოდენობის კაბინები ან ოთახები ფარული კენჭისყრისათვის, განისაზღვრება ბიულეტენების გაცემის ადგილები, იდგმება ურნები და თვალსაჩინო ადგილზე გამოიკვრება სარეფერენდუმოდ გამოტანილი კანონპროექტის ან სხვა წინადადების ტექსტი.

რეფერენდუმის დღეს, ურნის დალუქვიდან კენჭისყრის შედეგების დათვლამდე, სარეფერენდუმოდ გამოყოფილ შენობებში შეიძლება იმყოფებოდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. საამისოდ მათ თან უნდა ჰქონდეთ პირადობის დამადასტურებელი საბუთი და შესაბამისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ გაცემული რწმუნება ან ოქმის ამონაწერი.

თითოეული მოქალაქე კენჭს იყრის პირადად. სარეფერენდუმო ბიულეტენებს იძლევა საუბნო სარეფერენდუმო კომისია მოქალაქეთა სიის ან კენჭისყრის უფლების მოწმობის საფუძველზე, პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთის წარდგენისას. სარეფერენდუმო ბიულეტენის მიღებას მოქალაქე ადასტურებს სიაში ხელმოწერით. კენჭისყრის უფლების მოწმობები თან ერთვის დამატებით სიას.

იმ შემთხვევაში, როცა მოქალაქეს არ შეუძლია კენჭისყრის ადგილზე მისვლა, მისი თხოვნით საუბნო სარეფერენდუმო კომისია ავალებს თავის არანაკლებ ორ წევრს მოაწყონ კენჭისყრა ამ მოქალაქის ყოფნის ადგილას სიის დანართის საფუძველზე, რის შესახებაც სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა. ამგვარი კენჭისყრისათვის გამოიყენება ერთი გადასატანი სარეფერენდუმო ურნა.

პასუხისმგებლობა კენჭისყრის სათანადო ორგანიზაციისათვის ეკისრებათ საუბნო სარეფერენდუმო კომისიებს.

მუხლი 23. კენჭისყრა

სარეფერენდუმო ბიულეტენებს მოქალაქენი ავსებენ ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. რეფერენდუმის მონაწილე შემოხაზავს ბიულეტენში მითითებული პასუხის იმ ვარიანტს, რომელსაც მხარს უჭერს.

მოქალაქის მიერ ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში სხვა პირის ყოფნა. მოქალაქეს, რომელსაც არა აქვს ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსების საშუალება, შეუძლია კაბინაში ან ოთახში მიიწვიოს სხვა პირი, გარდა სარეფერენდუმო კომისიის წევრისა.

შევსებულ ბიულეტენს კენჭისყრის მონაწილე პირადად უშვებს საარჩევნო ურნაში.

მუხლი 24. კენჭისყრის შედეგების დათვლა სარეფერენდუმო უბანში

კენჭისყრის შედეგების დათვლა ხდება სარეფერენდუმო უბნების მიხედვით, საუბნო სარეფერენდუმო კომისიის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის დამთავრებულად გამოცხადების შემდეგ. საუბნო სარეფერენდუმო კომისიები ითვლიან გამოუყენებელ ბიულეტენებს და ანადგურებენ.

საუბნო სარეფერენდუმო კომისია რეფერენდუმის მონაწილეთა ძირითადი და დამატებითი სიების საფუძველზე ადგენს შესაბამისი უბნის კენჭისყრის მონაწილეთა საერთო რიცხვს, ხოლო ბიულეტენების მიღების შესახებ მოქალაქეთა ხელმოწერების საფუძველზე — რეფერენდუმის მონაწილეთა რიცხვს.

ამ რიცხვის დადგენის შემდეგ ხსნიან კენჭისყრის ურნებს. პირველ რიგში ითვლიან კენჭისყრის შენობის გარეთ გატანილ ურნებში არსებულ ბიულეტენებს.

საუბნო სარეფერენდუმო კომისია კენჭისყრის ურნებში არსებული ბიულეტენების საფუძველზე ადგენს:

1) კენჭისყრის მონაწილეთა საერთო რიცხვს, ანუ:

ა) იმ მოქალაქეთა რიცხვს, რომლებმაც კენჭი უყარეს სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას;

ბ) იმ მოქალაქეთა რიცხვს, რომლებმაც კენჭი უყარეს წინააღმდეგ;

2) ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას.

ბათილად ცნობენ დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენებს, აგრეთვე ბიულეტენებს, რომლებშიც შემოხაზულია პასუხის ორივე ვარიანტი ან არც ერთი არ არის შემოხაზული. სარეფერენდუმო ბიულეტენის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს კენჭისყრით წყვეტს სარეფერენდუმო კომისია.

საუბნო სარეფერენდუმო კომისია ხმის დათვლის შედეგებს დაუყოვნებლივ იხილავს თავის სხდომაზე და ადგენს ოქმს.

ოქმში აღინიშნება:

1) საუბნო სარეფერენდუმო კომისიის მიერ მიღებული სარეფერენდუმო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;

2) კენჭისყრის დამთავრების შემდეგ განადგურებული ბიულეტენების რაოდენობა;

3) შესაბამისი სარეფერენდუმო უბნის მოქალაქეთა საერთო რიცხვი;

4) რეფერენდუმის მონაწილეთა საერთო რიცხვი;

5) კენჭისყრის მონაწილეთა საერთო რიცხვი;

6) იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომლებმაც კენჭი უყარეს სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას;

7) იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომლებმაც კენჭი უყარეს წინააღმდეგ;

8) ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა.

ოქმს ხელს აწერენ საუბნო სარეფერენდუმო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები. ოქმი და დათვლილი ბიულეტენები შესაბამის საოლქო სარეფერენდუმო კომისიას ეგზავნება ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 25. რეფერენდუმის შედეგების დადგენა რაიონების (ქალაქების, ქალაქების რაიონების) მიხედვით

საოლქო სარეფერენდუმო კომისიები თავიანთ სხდომებზე ადგენენ რეფერენდუმის შედეგებს შესაბამისი რაიონის (ქალაქის, ქალაქის რაიონის) ტერიტორიაზე საუბნო კომისიებიდან მიღებული ოქმების საფუძველზე, რის შესახებაც საოლქო სარეფერენდუმო კომისიები ადგენენ ოქმს.

ოქმში აღინიშნება:

1) რაიონის (ქალაქის, ქალაქის რაიონის) მოქალაქეთა საერთო რიცხვი;

2) რეფერენდუმის მონაწილეთა რიცხვი;

3) კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვი;

4) იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომლებმაც კენჭი უყარეს სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას;

5) იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომლებმაც კენჭი უყარეს წინააღმდეგ;

6) ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა.

ოქმს ხელს აწერენ საოლქო სარეფერენდუმო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები.

ოქმი ეგზავნება ცენტრალურ სარეფერენდუმო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით.

სარეფერენდუმო უბნების მიხედვით გაცემული სარეფერენდუმო ბიულეტენები ინახება საოლქო სარეფერენდუმო კომისიებში რეფერენდუმის შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე.

საოლქო სარეფერენდუმო კომისია უფლებამოსილია ბათილად ცნოს რეფერენდუმის შედეგები ცალკეულ უბნებში, თუ დადგინდა, რომ აღნიშნულ უბნებში რეფერენდუმის ჩატარებისა და კენჭისყრის შედეგების დათვლის დროს დაშვებულ იქნა ამ კანონის სერიოზული დარღვევები.

საოლქო სარეფერენდუმო კომისია რეფერენდუმის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში არ მიიღებს ასეთი უბნებიდან შემოსულ მონაცემებს, რის შესახებაც აცნობებს ცენტრალურ სარეფერენდუმო კომისიას.

საოლქო სარეფერენდუმო კომისიის გადაწყვეტილება ცალკეულ უბნებში რეფერენდუმის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 5 დღის ვადაში.

მუხლი 26. რეფერენდუმის შედეგების შეჯამება რესპუბლიკის მასშტაბით

ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია თავის სხდომაზე, საოლქო სარეფერენდუმო კომისიებიდან მიღებული ოქმების საფუძველზე ადგენს რეფერენდუმის შედეგებს რესპუბლიკის მასშტაბით.

ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია უფლებამოსილია ბათილად ცნოს რეფერენდუმის შედეგები ცალკეულ რაიონებში (ქალაქებში, ქალაქის რაიონებში), თუ დადგინდა, რომ შესაბამის ტერიტორიებზე რეფერენდუმის ჩატარების, კენჭისყრის შედეგების დათვლის ან მათი შეჯამების დროს იყო ამ კანონის სერიოზული დარღვევები. ამ ტერიტორიებიდან მიღებული მონაცემები რეფერენდუმის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში არ მიიღება. ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის სხდომაზე დგება ოქმი.

ოქმში აღინიშნება:

1) რესპუბლიკის მოქალაქეთა საერთო რიცხვი;

2) რეფერენდუმის მონაწილეთა საერთო რიცხვი;

3) კენჭისყრის მონაწილეთა საერთო რიცხვი;

4) იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომლებმაც კენჭი უყარეს სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას;

5) იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომლებმაც კენჭი უყარეს წინააღმდეგ;

6) ბათილად ცნობილი ბიულეტენების საერთო რაოდენობა.

ოქმს ხელს აწერენ ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები, ოქმი დაუყოვნებლივ ეგზავნება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს.

ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია რეფერენდუმის შედეგებს აქვეყნებს საინფორმაციო საშუალებათა (პრესა, ტელევიზია, რადიო) მეშვეობით ოქმის შედგენიდან სამი დღის ვადაში.

სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხი მიღებულად ჩაითვლება, თუ მის დადებითად გადაწყვეტას ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.

რეფერენდუმი არ ჩაითვლება ჩატარებულად, თუ მასში მონაწილეობა მიიღო საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა ნახევარზე ნაკლებმა.

თუ აღმოჩნდა, რომ რეფერენდუმის საბოლოო შედეგებზე გავლენის მოხდენა შეეძლოთ იმ უბნების თუ რაიონების (ქალაქების, ქალაქის რაიონების) მოქალაქეებს, რომლებშიც საოლქო და ცენტრალურმა სარეფერენდუმო კომისიებმა რეფერენდუმის შედეგები ბათილად ცნეს, ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია უფლებამოსილია მის მიერ დადგენილ ვადაში შესაბამის კომისიებს დაავალოს განმეორებითი კენჭისყრის ჩატარება.

მუხლი 27. რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლა

რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან, აქვს იურიდიული ძალა და საბოლოოა.

რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება მხოლოდ რეფერენდუმით.

ამ კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად საზოგადოებრივი აზრის გამოსავლინებლად ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის საკონსულტაციო მნიშვნელობა აქვს საკითხის გადაწყვეტის დროს.

მუხლი 28. რეფერენდუმის განმეორებით მოწყობა. რეფერენდუმისათვის მზადების შეწყვეტა. ცვლილებების შეტანა სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხების პროექტებში

ერთსა და იმავე საკითხზე რეფერენდუმის განმეორებით ჩატარება შეიძლება მხოლოდ ორი წლის შემდეგ.

რეფერენდუმისთვის მზადება შეწყდება, თუ რეფერენდუმის დღემდე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო სარეფერენდუმოდ წარდგენილ საკითხზე მიიღებს კანონს ან სხვა გადაწყვეტილებას.

ასევე რეფერენდუმისათვის მზადება შეწყდება, თუ ამას მოითხოვენ მისი მოწყობის ინიციატორები.

რეფერენდუმის მოწყობის ინიციატორები უფლებამოსილი არიან დადგენილი წესით ცვლილებები შეიტანონ სარეფერენდუმოდ გამოტანილი წინადადებების ტექსტში ნებისმიერ დროს, მაგრამ არა უგვიანეს 15 დღისა რეფერენდუმამდე, რაც პრესის საშუალებით დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოთ რეფერენდუმის მონაწილეებს.

მუხლი 29. კენჭისყრის მოწყობის წესთან, ხმების დათვლასთან და კენჭისყრის შედეგების დადგენასთან დაკავშირებული საკითხების მოსაწესრიგებლად, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ კანონით, გამოიყენება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის შესაბამისი დებულებები.

თავი IV
პასუხისმგებლობა რეფერენდუმის შესახებ კანონის დარღვევისათვის

მუხლი 30. პასუხისმგებლობა რეფერენდუმის შესახებ კანონის დარღვევისათვის

პირები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს რეფერენდუმში მონაწილეობის უფლების განხორციელებაში ხელს შეუშლიან მოტყუების, მუქარის, მოსყიდვის ან ძალადობის გზით, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანოების, წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების თანამდებობის პირები, საინიციატივო ჯგუფისა და სარეფერენდუმო კომისიის წევრები, ხელმოწერების შემგროვებელი პირები, რომლებიც ჩაიდენენ სიყალბეს, წამატებას, განზრახ უსწოროდ შეაჯამებენ კენჭისყრის შედეგებს, დაარღვევენ კენჭისყრის საიდუმლოებას, დაისჯებიან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ან ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 29 იანვარი.

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოთა არჩევნების ტერიტორიულ და საქალაქო საარჩევნო კომისიებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნულ წევრთა სია

I. საქალაქო საარჩევნო კომისიები

გორის

თავმჯდომარის მოადგილე — **ხუროშვილი** გივი თენგიზის ძე — წყალმომარაგების სამმართველოს მთავარი ინჟინერი, უპარტიო

წევრები

აბუაშვილი იზო დიმიტრის ასული — საწარმოო გაერთიანების „დილას“ თანამშრომელი, უპარტიო

მახვილაძე ლელა ბეჟანის ასული — ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომისტი, უპარტიო

მაღრაძე ერმილე შალვას ძე — მხატვართა კავშირის წევრი, უპარტიო

ხმიადაშვილი გიორგი უშანგის ძე — გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თანამშრომელი, სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის წევრი

ზუგდიდის

თავმჯდომარის მოადგილე — **ჯგუშია** ნანი მაგულის ასული — პოლიტექნიკურ სასწავლო პროფ. კომიტეტის თავმჯდომარე, ეროვნული ფრონტი, რადიკალური კავშირი

წევრები

ქობალია ზაურ დავითის ძე — დროებით უმუშევარი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი

გაგნიძე ალბინა ვლადიმერის ასული — ფაიფურის ქარხნის მუშა, წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი

ჯიქია ზურაბ ვარლამის ძე — საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკის დაგეგმვის და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელი. სახალხო ფრონტი

ბადრიძე ანზორ სოლომონის ძე — ეკონომისტი, აგრომრეწვის საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს წამყვანი რევიზორი, მიწათმოქმედთა კავშირი

რუსთავის

თავმჯდომარის მოადგილე — **კაკაჩია** ციალა ამირანის ასული — რუსთავის გამოთვლითი ცენტრის ოპერატორი. ეროვნული ფრონტი, რადიკალური კავშირი

წევრები

შუბითიძე თამაზ ალექსანდრეს ძე — სსგ „ავტომატის“ მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი

კახიძე ნუგზარ ნარიმანის ძე — 26-ე სკოლის პედაგოგი. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი

ბედუკაძე ცაბუ ილიას ასული — სსგ ავტომატმრეწვის ტექნიკოსი. წმინდა ილია მართლის საზოგადოება

ჩხეიძე ლერი ლევანის ძე — ავტომშენის ინჟინერ-კონსტრუქტორი. ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი

ფოთის

თავმჯდომარის მოადგილე — **დოლბაია** თემურ დავითის ძე — ფოთის კომუნალური მეურნეობის განყოფილების სპეცავტომეურნეობის დისპეტჩერი, უპარტიო

წევრები

ცომაია შორენა სერგოს ასული — ფოთის პარტიის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი, კომპარტიის წევრი

სიჭინავა ენვერ აპოლონის ძე — ავტოსადგურის უფროსი დისპეტჩერი, საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი

ნანავა ზაზა ბორიას ძე — თევზმრეწვის მეზღვაური, საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტიის წევრი

კუცია ლუარა სიმონის ასული — კოლხეთის სამეცნიერო ცენტრის ბიბლიოთეკარი, წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი

ქუთაისის

თავმჯდომარის მოადგილე — **ახვლედიანი** მამუკა ომარის ძე — სტუდენტი, წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი.

წევრები

გიორგაძე სვეტლანა ნოშრევანის ასული — პედაგოგი, უპარტიო

კაჭარავა ზურაბ ავთანდილის ძე — მეტალურგი, დროებით უმუშევარი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი

დუშუაშვილი რამაზ გურგენის ძე — ექიმი. სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი

ფალავა ავთანდილ გრიგოლის ძე — დროებით უმუშევარი, წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი

ცხინვალის

თავმჯდომარის მოადგილე — **ბერუაშვილი** გიორგი ბაგრატის ძე — ამბულატორიის ექიმი

წევრები

მაღალთაძე როინი გიორგის ძე — ცხინვალის სკოლის პედაგოგი, წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი

ნიაური თემურ ანზორის ძე — დროებით უმუშევარი. საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი

ვახტანგიშვილი ვაჟა ვლადიმერის ძე — ცხინვალის რაიონის გამომძიებელი, უპარტიო

ფარცხალაძე ლია დავითის ასული — პოლიკლინიკის ექიმი, საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი

II. ქალაქის ზონის ტერიტორიული საარჩევნო კომისიები

ტყიბულის

თავმჯდომარის მოადგილე — **ცირეკიძე** მარლენ იულონის ძე — ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კონსულტანტი, კომპარტიის წევრი

წევრები

დარხაიძე ოლეგ მიხეილის ძე — ტყიბულის „სახსაქნახშირის“ მაღაროს მარკშაიდერი, უპარტიო

ცნობილაძე — გრიგოლ ესტატეს ძე — საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის ტყიბულის რაიონის საბჭოს თავმჯდომარე, კომპარტიის წევრი

ბაკურაძე ირმა გივის ასული — ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორი, უპარტიო

ჭელიშვილი ხუნია მელიტონის ძე — ომისა და შრომის ვეტერანთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, კომპარტიის წევრი

წყალტუბოს

თავმჯდომარის მოადგილე — **ახვლედიანი** ლავრენტი გურგენის ძე — წყალტუბოს სამხედრო ინჟინერი. საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი

წევრები

ღოღობერიძე ციური სერგოს ასული — საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის ექიმ-ლაბორანტი, უპარტიო

ნაჭყებია ალექსანდრე გრიგოლის ძე — სოფელ გვიშტიბის საშუალო სკოლის პედაგოგი, უპარტიო

ღოღონაძე ნარგიზა ალექსანდრეს ასული — სანატორიუმ „მეგობრობის“ ექიმი, საქართველოს ეროვნული ფრონტი-რადიკალური კავშირი

ბზიკაძე დარეჯან ჰიჰიკოს ასული — კურორტოლოგიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის ლაბორანტი. წმინდა ილია მართლის საზოგადოება

ჭიათურის

თავმჯდომარის მოადგილე — **ჰუმბურიძე** თემურ ვლადიმერის ძე — მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი, საქართველოს სახალხო ფრონტი

წევრები

ქურცაძე იზოლდა შალვას ასული — საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ ტექნიკური კონტროლის ლაბორატორიის ინჟინერი, კომპარტიის წევრი

ჭილლაძე ნაირა ბიძინას ასული — რაიონული საავადმყოფოს ექიმი, უპარტიო.

მამაცაშვილი ინგა თენგიზის ასული — მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელი. უპარტიო

გოგატაშვილი ნინო უშანგის ასული — ფილოლოგი. დროებით უმუშევარი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი

III. ტერიტორიული საარჩევნო კომისიები

თბილისის

თავმჯდომარის მოადგილე — **ლაგვილავა** რევაზ ნიკოლოზის ძე — ვოკალისტი, სახელმწიფო მუსიკალური თეატრის სოლისტი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი

წევრები

დოლიძე ნინო მარკლენის ასული — ნ. კახიანის სახელობის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს ექიმი. საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი

ბერიშვილი გიორგი — კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის სოციალურ-პოლიტიკური კვლევის სექტორის გამგე, კომპარტიის წევრი

ფორჩხიძე ბადრი ლერის ძე — ფსიქოლოგი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი

გიორგაძე ნანა — თბილისის რაიაღმასკომის ინსტრუქტორი. წმინდა ილია მართლის საზოგადოება

აბაშის

თავმჯდომარის მოადგილე — **კორძახია** გივი ლეონტის ძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირების აბაშის რაიკომის თავმჯდომარე

წევრები

ხაბეიშვილი რევაზ ილიას ძე — აბაშის რაიაღმასკომის ინსტრუქტორი, უპარტიო

ფუტკარაძე ნოდარ მუჰამედის ძე — ადგილობრივი გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი, კომპარტიის წევრი

გაბელაია ვაჟა გაიოზის ძე — აბაშის № 1 სკოლა-გიმნაზიის დირექტორი, დემოგრაფიული საზოგადოების წევრი

ოოფურია ირინე იურის ასული — საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორი, რუსთაველის საზოგადოების წევრი

ადიგენის

თავმჯდომარის მოადგილე — **ბოჩიკაშვილი** ნანული ფრანელის ასული — ადიგენის საგად. ინსპექცია, ინსპექტორი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება

წევრები

ნატრიაშვილი დავით ვაჟას ძე — აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ფიზიკოსი მეცნიერი მუშაკი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი

ნარიმანაშვილი ამირან სამსონის ძე — საყოფაცხოვრებო მომსახურების მონტიორი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება

გორგოძე ლიანა იოსების ასული — სოფელ ვარხნის ბუღალტერი, უპარტიო

გზირიშვილი პავლე პეტრეს ძე — სოფელ უდეს საშუალო სკოლის მასწავლებელი, კომპარტიის წევრი

(გაგრძელება მე-4 გვ.).

სატირალი რომ არ იყოს

„ვიდრე ჰხვალ? კვო ვადის?“

ანუ ღია წერილი ლადო ალფენიძე-ბახტრიონელს

ბატონო ლადო, თქვენი რედაქტორად დანიშვნის ამბავი მანამდე რომ გამეგო, ვიდრე თქვენს მიერ უკვე ხელმოწერილ გაზეთს ხელში ავიღებდი და გადავათვალიერებდი, უთუოდ მოგილოცავდით (ცხადია, გზაში რომ შემხვედროდით, თორემ ოჯახში ვერ გეწვეოდით და ვერც დაგირეკავდით, რადგანაც ასე ახლოს არა ვართ ერთმანეთთან). მაგრამ მას შემდეგ, რაც ხელშიც ავიღე და გულდასმითაც გავეცანი გაზეთ „ცხოვრების“ მეორე ნომერში გამოქვეყნებულ მასალებს, მოლოცვისა რა მოგახსენოთ და ჩემი გულისწყრომა კი ნამდვილად დაიმსახურეთ.

შევეცდები, დალაგებულად და რაც შეიძლება მშვიდად მოგახსენოთ ჩემი გულისწყრომის გამომწვევ მიზეზებზე, რომელთაგან, შორს რომ არ წავიდე, მხოლოდ მთავარზე გავამახვილებ ყურადღებას.

თავდაპირველად მინდა ასეთი შეკითხვა დაგისვათ, ბატონო ლადო: „ვიდრე ჰხვალ? კვო ვადის?“ გაიგეთ ჩემი შეკითხვა?

გაგებით როგორ ვერ გაიგებდით იმას, რაც თქვენს გაზეთს ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული და რაც, ალბათ, თქვენივე ნახელავია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც უსიამოვნოდ გაგაოცებდათ ეს უცნაური შეკითხვა. ცხადია, შემკითხველის მისამართით კარგს არას გაიფიქრებდით იმწუთას. არ დაგიმალავთ და დაახლოებით იგივე გავიფიქრე მეც თქვენზე, როცა გაზეთის იმ ადგილას, სადაც არცთუ დიდი ხნის წინათ ეწერა — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ — წავიკითხე: „ვიდრე ჰხვალ? კვო ვადის?“

ბატონო ლადო, თქვენ განსწავლული კაცი ბრძანდებით და სხვისგან არ უნდა გესწავლებოდეთ (მით უფრო, რედაქტორს) მარტივი ჭეშმარიტება: გაზეთი ფართო მასებისათვის არის გამიზნული და, ბუნებრივიცაა, რომ იგი ყველასათვის გასაგები ენით უნდა მეტყველებდეს და არა რებუსებით. თუ არა რებუსი, სხვა რა უნდა ვუწოდოთ თქვენს ნახელავ ეპიგრაფს, ოთხი სიტყვისაგან რომ შესდგება და აქედან ორი უცხო სიტყვაა?

მომიტევეთ და თქვენ საერთოდ გიყვართ უცხო სიტყვებით „ქეკლუცობა“ (ეს ძალუმად იგრძნობა თქვენს ნაწერებში), გიყვართ ცოდნის დემონსტრირება (გაზეთის აღნიშნულ ნომერშიც აშკარად შეიმჩნევა ეს) — აგერ გაზეთის ერთ გვერდზე ფროიდზე და ფროიდიზმზე რომ მსჯელობთ „აბსოლუტური კომპეტენტურობით“, მომდევნო გვერდზე კომუნისტი მხატვრის პაბლო პიკასოს სიდიადეზე და მისი მართლაცდა უბადლო შემოქმედების ამომწურავ ცოდნაზე სდებთ თავს. ერთი სიტყვით, ყველაფერს ცდილობთ იმისათვის, რომ მკითხველს შეუქმნათ ილუზია თქვენი ყოვლისმცოდნეობის შესახებ (კარგია ეს თუ ცუდი? უბრალოდ უხერხულია — არც მეტი, არც ნაკლები).

ფროიდი და პიკასო ვახსენეთ, მაგრამ ვიდრე მათ შესახებ განვავრცობდეთ საუბარს, ბატონო ლადო, ბარემ გაზეთის პირველი გვერდი მოვილიოთ.

ეპიგრაფის ავტორი რომ თქვენ ბრძანდებით, ამაში პირადად მე არ მეპარება ეჭვი. იმაში კი ნამდვილად არავის შეეპარება ეჭვი, რომ პირველ გვერდზევე — ქვემოთ, მარცხენა კუთხეში მოთავსებული ერთობ მოკლე, მაგრამ „შთამბეჭდავი“ (ხელმოუწერელი) „პასუხის“ ავტორი თქვენ ბრძანდებით. აი ისიც:

„პასუხი გაზეთ „რესპუბლიკას“.

5 თებერვლის ნომერში თქვენ ჩვენს ცეკას შენობას „ქაჯეთის ციხე“ უწოდეთ. სადაა თქვენი ზრდილობა?

თუ თავად ქაჯები არა ხართ, რად მოიწევთ ასე ქაჯურად ამ შენობის დასაკავებლად?! ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს. რატომ გვაყენებთ ასეთ შეურაცხყოფას?“

ძალიან ძნელია იმის დაჯერება, რომ ეს სტრიქონები განათლებულ ადამიანს ეკუთვნის, ადამიანს, რომელსაც ბევრი სმენია და უნახავს, მთელი თუ არა, ნახევარი მსოფლიო მაინც შემოუვლია.

ნამდვილად სასაცილო იქნებოდა ეს „პასუხი“ (ერთი პირი გამეცინა კიდეც), სატირალი რომ არ იყოს.

ბატონო ლადო, ნუთუ ახლა მაინც არ გრძნობთ უხერხულობას ცხელ გულზე დაწერილი, ყოველგვარ ეთიკურ ნორმებს მოკლებული „პასუხის“ გამოქვეყნების გამო? თუ გრძნობთ, ხომ კარგი, თუ არადა, მაშინ, პირდაპირ გეტყვით, მთლად კარგად არ ყოფილა თქვენი საქმე. რატომ? იმიტომ, რომ, ბოლოს და ბოლოს, არ შეიძლება, დაუშვებელია, მთელი ხალხის წინაშე მართლაცდა ასეთი „ქაჯობა“.

თქვე დალოცვილო, ვთქვათ და მართლა „დაამავა“ ვიღაცამ და ცეკას შენობა „ქაჯეთის ციხედ“ მონათლა (იქ მსხდომთათვის ხომ არ უწოდებია იმ ვიღაცას ქაჯები?), თქვენ — ეს კულტურული კაცი, მწერალი, რედაქტორი — უნდა მოდგეთ და ქაჯები უძახოთ ყველას — დამნაშავესაც და უდანაშაულოსაც? და ამის შემდეგ თქვენს ოპონენტებს უსაყვედუროთ — „სადაა თქვენი ზრდილობა“-ო?

მე არ ვიცი, ვინ მოიწევს მართლა „ქაჯურად“ ცეკას შენობის დასაკავებლად (ეჭვი მეპარება ამაში), მაგრამ თუ ვინმე ნამდვილად ასე იქცევა, ძალიანაც აშავებს. არც ის მოიქცა, ცხადია კორექტულად, ვინც დღევანდელ დღეს „ქაჯეთის ციხედ“ მონათლა ცეკას შენობა. ხაზგასმით ვამბობ — დღევანდელ დღეს-მეთქი, იმიტომ, რომ არცთუ ისე შორეულ წარსულში (წარსულში კი არა, აგერ ახლახან) ეს შენობა მართლა იწვევდა „ქაჯეთის ციხის“ ასოციაციას, ისეთი მიუვალი და შეუვალი იყო. განა ეს თქვენ სხვებზე უკეთ არ მოგეხსენებათ, ბატონო ლადო, ამ შენობის ყოფილ „ბინადარს“?

რაკი საქართველოს აწ უკვე დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაზე ჩამოვარდა სიტყვა, მინდა ჩემი მოკრძალებული მოსაზრება გამოვთქვა ამასთან დაკავშირებით.

ვფიქრობ, არავითარი გამართლება არა აქვს იმას, რომ მრავალპარტიულობის პირობებში ერთი პარტია ფლობდეს უზარმაზარ შენობას, ხოლო სხვა პარტიები ქვემოდან შესცქეროდნენ მას — კოშკივით აღმართულს.

აქვე დავსძენდი: ვერაფრით ვერ ამიხსნია ჩემი თავისათვის — ეროვნულ ნიადაგზე (პლატფორმაზე, პოზიციაზე) დამდგარი, ახალი პროგრამითა და წესდებით შეიარაღებული პარტია რატომ ვერ შელევია ძველ სახელწოდებას — „კომუნისტურს“, რომელიც ყოფილ პარტიელებშიც კი (პირადად ჩემშიც), როგორ ვთქვა და, ალერგიას იწვევს?

(ბოლოს და ბოლოს სახელწოდებას ისეთი რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი საქმეაო — იტყვის ვინმე. მე კი მივუგებდი: საქართველოს დღევანდელი კომპარტია ბევრს მოიგებდა, მეტ ნდობას მოიპოვებდა სახელწოდების შეცვლით, „კომუნისტურზე“ უარის თქმით).

ბატონო ლადო, თქვენი გაზეთის აღნიშნულ ნომერში დაბეჭდილი სამი მასალის (ორი წერილისა და ერთი ლექსის) გაცნობის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ სამივე ეს მასალა ერთი ავტორის კუთვნილებაა. ერთ წერილს ლადო ბახტრიონელი (ე. ი. თქვენ) აწერს ხელს, მეორეს — ვ. ივერიელი (მიმხვედრილობა თუ არ მღალატობს, ესეც თქვენ უნდა იყოთ), ხოლო მესამე მასალა ანუ ლექსი დაბეჭდილია ლადო იყალთოელის ხელმოწერით (მომკალით და ამ ლექსსაც თქვენეული ხელწერა ატყვია).

მაშ ასე: ბახტრიონელი-ივერიელი-იყალთოელი. ვინ ვინ არის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თქვენთვის მომინდვია, ბატონო ლადო. მე კი იმის შესახებ წარვმართავ მსჯელობას, თუ რას წარმოადგენენ ეს მასალები.

„ფროიდის „ერთი ილუზიის მომავლისა“ და ჩვენი უფროიდო და უილუზიო მომავლის შესახებ“ — ასეა დასათაურებული ლადო ბახტრიონელის (ე. ი. თქვენი) წერილი.

ამ წერილის კომპეტენტურობაზე აზრის გამოთქმა უმჯობესია ფროიდის მოძღვრებაში ჩემზე უფრო ჩახედულებმა იკისრონ. მე მხოლოდ წერილში აძრულ შედარებით „არაარსებით“ საკითხებზე გავამახვილებ ყურადღებას, კერძოდ, წერილის დასკვნით ნაწილზე.

უკეთებს რა რეზიუმეს თავის ნალაპარაკევს ფროიდისა და ფროიდიზმის შესახებ, ავტორი წერს:

„ამერიკის შეერთებულ შტატებში გამიგონია: „ზიგმუნდ“ გერმანულად ნიშნავს „გამარჯვებულ მეტყველებას“, ფროიდი — „სიხარულს“.

„გამარჯვებული აზრის სიხარული“ გამოჰყავთ ზიგმუნდ ფროიდის სახელისა და გვარის ეტიმოლოგიური და სემანტიკური არსიდან.

ჩვენი უილუზიო და უფროიდო მომავალი ფროიდის „ერთი ილუზიის მომავალს“ ვერ დაეყრდნობა.

ჩვენ უნდა მივაკვლიოთ უფრო უილუზიო კერპს — ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტების გზაზე კი ფროიდი აუცილებელი საფეხურია“.

ვფიქრობ, წერილიდან აქ მოხმობილი ადგილები კომენტარს არ საჭიროებენ, მაგრამ იმის გაგება უინტერესო არ უნდა იყოს, თუ რისთვის დასჭირდა ავტორს ყოველივე ამის თქმა.

მთავარი, რისთვისაც გაისარჯა წერილის ავტორი ის კი არ იყო, რომ ფროიდისა და მისი მოძღვრებისთვის შესხა ხოტბა, თუმცა მთელი წერილის მანძილზე ეს ხოტბა ისმის, არამედ... ერთხელ კიდევ განედიდებინა მარქსიზმი. ავტორის ეს მიზანდასახულობა, რაგინდ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, წერილის მინაწერშია გამჟღავნებული.

ახლა ვნახოთ, ბატონო ლადო, რა გიწერიათ ამ მინაწერში, რისთვისაც ყოვლად გაუმართლებლად „რედაქციისაგან“ დაგირქმევიათ (თქვე დალოცვილო, წერილი თქვენია, მინაწერიც თქვენ გეკუთვნით — ორგანული გაგრძელებაა თქვენივე წერილისა და „რედაქციისაგან“ რა შუაშია?).

მსჯელობთ რა იმის შესახებ, რომ „მარქსიზმს არასოდეს გამოუვლენია ფროიდიზმთან შერწყმის მისწრაფება, პირიქით, ფროიდიზმი და ნეოფროიდიზმი ესწრაფოდნენ მარქსიზმთან შერწყმას“, ასკვნით, რომ „ასე ჩამოყალიბდა დასავლეთში „ფროიდო-მარქსიზმი“. შემდეგ კი სრულიად მოულოდნელად ასეთ „აღმოჩენას“ გვთავაზობთ:

„პრეზიდენტი ჰაველი, რომელიც საშუალო ნიჭის დრამატურგია და დამსახურებაზე მეტად აღიარებული დისიდენტი, შენიშნავს, რომ ფროიდის სიტყვა ფლობს დასავლეთის ქვეყნებისა და ხალხების გონებას“.

ბატონო ლადო, ჯერ ერთი, რა შუაში იყო აქ, ამ კონტექსტში, ჰაველის, როგორც დრამატურგის თქვენეული შეფასების ჩართვა და მისი (ჰაველის) მოხსენიება, როგორც „დამსახურებაზე მეტად აღიარებული დისიდენტისა“? მეორეც, რატომ აძლევთ თქვენს თავს იმის უფლებას — იმსჯელოთ ასე კატეგორიულად? და ბოლოს, არავინ მოგიწონებთ, ბატონო ლადო, თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის ვაცლავ ჰაველის ასე „ხელის წამოკვრას“, იმ ჰაველისა, რომლის მიმართ დიდი სიმპატიებითაა გამსჭვალული მთელი ქართველი ერი (და არა მარტო ქართველი ერი).

ნათქვამს დავსძენდი: ჰაველისადმი თქვენს უპატივცემულობაშიც (სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ) გამჟღავნდა თქვენი „ეროვნული პოზიცია“.

თქვენი წერილის მინაწერი ასე მთავრდება:

„მაშ, რატომ იყო მიმზიდველი მარქსიზმი ფროიდიზმისა და ნეოფროიდიზმის ადეპტებისათვის?

საკითხავი აი, ეს არის!

მარქსისტები მუდამ ებრძოდნენ ფროიდისტებსა და ნეოფროიდისტებს. ისინი კი მუდამ თავს იკლავდნენ „ფროიდო-მარქსიზმის „შესაქმნელად“.

საკითხავი უკვე არაფერია, ბატონო ლადო, სრულიად ნათელია თქვენი წერილის მთავარი მიზანი და დანიშნულება — მარქსიზმის პროპაგანდა, მარქსიზმის აპოლოგია. რაც შეეხება ფროიდსა და ფროიდიზმს, ჩემი აზრით, თავის გამოსაჩენად უფრო დაგჭირდათ, ვიდრე იმისათვის, რომ ხაზგასმით გეთქვათ: **„ზიგმუნდ ფროიდის მოძღვრება ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოძღვრებაა თანამედროვე მსოფლიოში“-ო.**

ბატონო ლადო, ცუდი იმაში არაფერია და მეც მცირეოდენ საყვედურსაც როგორ გაკადრებთ იმის გამო, რომ თქვენ მარქსიზმზე აგრერიგად ბრძანდებით შეყვარებული (თქვენ ხომ რომანიც გაქვთ დაწერილი კარლ მარქსზე). ბოლოს და ბოლოს ყველას თავისი რელიგია აქვს. ცუდი თუ არა, ულამაზო მაინც ის არის, რომ მარქსიზმის თქვენეულ პროპაგანდაში ხელოვნურობა და სიყალბე გამოსჭვივის. ხელოვნურობითა და სიყალბით გამოირჩევა ის წერილიც „პაბლო პიკასო“ რომ ჰქვია და ქვემოთ ვ. ივერიელის ხელმოწერა უზის (ნეტავი ასე უღმრთოდ რატომ შეიმოკლა სახელი?).

„მსოფლიოს უდიდესი ჰუმანისტი კომუნისტების გალერეა“ — ამ რუბრიკით ქვეყნდება ეს წერილი, რომლის შესავალ ნაწილშივე ვკითხულობთ:

„პაბლო პიკასო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი იყო. ეს ფაქტი კარგად დაიმახსოვროს ყველამ, ვისაც პიკასოს ხელოვნება უყვარს, მაგრამ კომუნისტებს ვერ იტანს“.

ბატონო ვ. ივერიელო, რა არის ეს — გაფრთხილება თუ მუქარა? ვის აფრთხილებთ, ან ვის ემუქრებით? ვთქვათ და დავიმახსოვრეთ, მერე?

თუმცა მივყვეთ ბოლომდე პიკასოს თქვენეულ შეფასებას.

„ვინ აიძულებდა გენიალურ პიკასოს შესულიყო კომპარტიის რიგებში, თუ არა საკუთარი სინდისი?

„პაბლო პიკასო — თავისუფლებისათვის განწირული ადამიანი შედის საფრანგეთის კომუნისტურ პარტიაში. ეს მრავალისმეტყველი ფაქტია“.

„პაბლო პიკასომ კომუნისტების პოლიტიკური დოქტრინა აირჩია, რადგანაც კომუნიზმის მოძღვრებას სამყაროზე, საზოგადოებასა და ადამიანზე საოცრად მიმზიდველი ძალა აქვს. მას გააჩნია პრიმატი ყველა ბურჟუაზიული პოლიტიკური მოძღვრების, ყველა ბურჟუაზიული პარტიის წინაშე“.

„კომპარტიაში პიკასოს შესვლის ფაქტი ისტორიული მოვლენაა.

„სხვა ყველაფერი განზე რომ იყოს, ეს ფაქტიც საკმარისია, რომ მარქსიზმი მსოფლიო ცივილიზაციის მონაპოვრად ჩაითვალოს“.

ეს გამონათქვამები საჭიროებს კომენტარებს?

ყველა ეს გამონათქვამი ერთად აღებული განა ურაკომუნისტური პროპაგანდის საუკეთესო ნიმუშს არ წარმოადგენს?

„სხვა ყველაფერი განზე რომ იყოს“, რა გულუბრყვილო მსჯელობაა!

ბატონო ვ. ივერიელო, თქვენ, ასე განათლებულ ადამიანს, ვისაც პაბლო პიკასოს ტილოები პარიზშიც გინახავთ, ნიუ-იორკშიც და მოსკოვშიც (ამას თავად თქვენ წერთ და კონკრეტულად იმ ტილოებსაც ჩამოთვლით, რომლებიც გინახავთ), გეკადრებათ ასეთი „გულუბრყვილობა“?

ერთი რამ მინდა გკითხოთ: თქვენ თვითონ ნამდვილად გჯერათ იმის, რასაც წერთ? აი, მაგალითად, ამის:

„გენიალურ პიკასოზე გავლენა მხოლოდ გენიალურ მოძღვრებას შეეძლო მოეხდინა.

ასეთი მოძღვრება იყო მარქსიზმი. ეს ფაქტია.

პაბლო პიკასოს კომუნისტობა მარქსიზმის ჭეშმარიტი სასინჯი ქვაა“.

ნეტავი პიკასო წამოაყენა და თქვენი მსჯელობა მოასმენინა. არ დაფიქრდებოდა, ისე გავიდოდა კომპარტიის რიგებიდან და, ღრმად ვარ დარწმუნებული, მშვიდობის ლენინური პრემიის ლაურეატობაზეც უარს იტყოდა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ ამ ქვეყანას არა ხართ, თქვე დალოცვილო, ადამისქამინდელი კატეგორიებით რომ მსჯელობთ დღესაც? პიკასოს კომუნისტობას ასე რომ აზვიადებთ და იხვევთ თითზე, ერთხელ მაინც არ დაფიქრებულხართ იმაზე, რომ თითქმის მთელი ნახევარი საუკუნე გვაშორებს იმ დროს, როცა პიკასო კომპარტიაში შევიდა (1944 წელს)? მაშინ ხომ სულ სხვა დრო იყო და ადამიანებიც (პიკასოსნაირებიც) რამდენადმე სხვანაირად აზროვნებდნენ. საფრანგეთისა და იტალიის კომპარტიები ქუხდნენ მაშინ, ისევე როგორც მათი ლიდერები — ტორეზი და ტოლიატი. დღეს კი — იყო და აღარ არის, თქვენი ჭირი წაიღო იტალიის კომპარტიამ, ხოლო საფრანგეთის კომპარტია იმის აჩრდილიღაა დღეს, რაც იყო მაშინ. ხოლო ე. წ. საბჭოთა კავშირის კომპარტია რა დღეშიც არის ახლა, ამას თქვენც კარგად ხედავთ.

მაინც არ იშლით თქვენსას და მტრის გასაცინარს აკეთებთ, როცა ამას წერთ:

„ვინც რა უნდა თქვას, ერთი რამ ფაქტია:

კომუნისტები არა მარტო ითვისებენ მსოფლიო ცივილიზაციის მონაპოვარს, არამედ ამდიდრებენ კიდეც ზოგადსაკაცობრიო იდეალებს.

ისინი, ვინც დღეს ხელაღებით უარყოფენ კომუნისტთა პოლიტიკურ და მხატვრულ კულტურას, უბრალოდ არ იცნობენ მას.

პაბლო პიკასოს კომუნისტური არჩევანი მე მეტს მეუბნება კომუნისტობაზე, ვიდრე მილიონ ანტიკომუნისტთა ისტერია და მისტერია“.

ბატონო ვ. ივერიელო, პიკასოს კომუნისტური არჩევანი ნუთუ იმაზე მეტსაც გეუბნებათ, ვიდრე კომუნისტების მიერ ათეული წლების მანძილზე ჩადენილი დანაშაულობანი?

ახლა, ბატონო ლადო, ლადო იყალთოელის ლექსზედაც ვიტყვი ორიოდე სიტყვას და ამით მოვრჩები ჩემთვის ძალიან უსიამოვნო საქმეს. თუმცა სჯობს მე გავჩერდე და თავად ლექსმა ილაპარაკოს (ლექსის სიდიდისა გამო მხოლოდ ფრაგმენტებს მოვიყვან).

„ილიას ხატი“ — ასე ჰქვია ამ ლექსს. აი, მასში გაბნეული „მარგალიტები“.

რამდენი ერი ჯერ კიდევ
ბალახს
ძოვდა, როცა ჩვენ ბიბლიას
ვწერდით,
მიტომ აყენებს ჯვრის
მონასტერი
წმინდა ილიას იესოს გვერდით.
ვაჟა-ფშაველას ფილტვით
სუნთქავდა
ჯვარს მილურსმული იესოს
მკერდი.

ჩვენ შუბლს ვახვედრებთ
ილიას ტყვიას,
ცაში მივფრინავთ იესოს
ფრთებით.

ილიასა და ქრისტეს რაობა
მარტივია და საოცრად რთული.
მისი ქრისტე ჰყავს ყველა
თაობას
და ქრისტეს უცემს ილიას
გული.

როცა მეორედ მოვა ამ
ქვეყნად,
ქრისტეს ექნება ილიას გული.

ძნელია იყო იესო ქრისტე,
ილია იყო — უფროა ძნელი.
ილიას სიტყვა მეტს ნიშნავს,
ვიდრე
აღთქმა ახალი და აღთქმა
ძველი.

ჩვენ ვიბადებით, ვითარცა
ქრისტე
და, ვით ილია, ჯვარცმული
ვკვდებით.

ბატონო ლადო (იყალთოელს მივმართავ), ჩვენს არალიტერატურულ პრესაში იმდენი სუსტი ლექსი იბეჭდება, რომ თქვენს ერთ ლექსზე ყურადღებას როგორ გავამახვილებდი, მით უფრო, რომ ლექსების გაკრიტიკება ჩემი „ამპლუა“ სულაც არ არის, მაგრამ შევხედე რა თქვენს ლექსს მორწმუნის პოზიციიდან, იგი ერთობ მკრეხელური მომეჩვენა და წონასწორობაც ამან დამირღვია.

არ შეიძლება ასეთ საფრთხილო (ანუ უცხო სიტყვით — დელიკატურ) თემაზე საკუთარი თავისადმი სრული უკონტროლობით წერა.

მკრეხელობაა, აბა რა, მაცხოვრის სახელისადმი ასეთი მოურიდებლობა, ამ უწმინდესი სალოცავი სახელის ასე „დახურდავება“.

ილია ვინც იყო და არის, ყველა ქართველმა იცის, ასე რომ, იგი სულაც არ საჭიროებს იაფფასიან (უფრო მკაცრად — ყალბ) „სადიდებელს“, მით უფრო, უფლის (დიდება მის სახელს!) დამცრობის „ხარჯზე“.

თავად დიდი ილია ჯერ უხერხულობისაგან შეიმშუშნებოდა, მერე ალბათ შეიცხადებდა, ეს სტრიქონები (მთლიანად ლექსი) რომ წაეკითხა: „ძნელია იყო იესო ქრისტე, ილია იყო — უფროა ძნელი, ილიას სიტყვა მეტს ნიშნავს, ვიდრე აღთქმა ახალი და აღთქმა ძველი“.

დროა, „ჯვარცმული“ მკითხველის მოთმინებას პატივი ვცე და აქ დავსვა წერტილი.

თქვენ კი, ბატონო ლადო, უფალმა იესო ქრისტემ შეგინდოთ შეცოდებანი.

მიხეილ ჩაჩუა.

მთავრობის მოამბე

ეკოლოგიური ვითარების გაჯანსაღებისათვის

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი რესპუბლიკაში ეკოლოგიური გაჯანსაღების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

მთავრობამ დაავალა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს საქართველოს ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან, ჰიდრომეტეოროლოგიის სამმართველოსთან ერთად რესპუბლიკის დაინტერესებული სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით მიმდინარე წლის 1 მაისამდე შეიმუშაონ კომპლექსური ღონისძიებანი გარემოს გაჭუჭყიანების მაღალი დონის მქონე ქალაქებისა და რაიონების, ეკოლოგიურად არახელსაყრელი რეგიონებისათვის გადაუდებელი დახმარების გასაწევად. მათვე უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ სამუშაოების დაფინანსება ყველა პროექტსა და პროგრამაზე გაიხსნას მხოლოდ ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უნდა გაითვალისწინონ ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭირო დავალებანი სოციალური და ეკონომიკური განვითარების გეგმების პროექტებში.

მიღებულ იქნა ცნობად, რომ რესპუბლიკის ფარგლებში შავი და კასპიის ზღვების აუზების წყლის ობიექტების გაჭუჭყიანების აღკვეთის სამუშაოების ეფექტიანობის ასამაღლებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 27 თებერვლის განკარგულებით შექმნილია საქართველოს ფარგლებში შავი და კასპიის ზღვების აუზების დაჭუჭყიანებისაგან დაცვის საკითხთა კომისია.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველსაყოფად ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს მიეცა თანხმობა 1991 წლის 1 მაისამდე შექმნას სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის საქართველოს რესპუბლიკური ცენტრი.

საქართველოს რესპუბლიკის სახაგრომრეწვს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ უზრუნველყონ 1991-1992 წლებში მიწების მელიორაციის, სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის, რესპუბლიკის მრეწველობის დარგების განვითარების ადრე მიღებული სახელმწიფო პროგრამების სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ 1991 წელს ყველა მოქმედი საწარმოს ეკოლოგიურად საშიში ობიექტისა და ცალკეული ტერიტორიების ეკოლოგიური პასპორტიზაციის ჩატარება ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოებთან შეთანხმებული გრაფიკით და მისი შედეგების შესაბამისად განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებლად; სოციალური და ეკოლოგიური განვითარების გეგმების, აგრეთვე დარგობრივი და რეგიონალური პროგრამების პროექტების შედგენისას გაითვალისწინონ ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვის ბიოლოგიური მეთოდების ფართოდ დასანერგავად, ნიადაგების ნაყოფიერების ასამაღლებლად და მიწების გამოყენების გასაუმჯობესებლად. მიღებულია გადაწყვეტილება შეიქმნას და მუდმივად განახლდეს რესპუბლიკის ეკოლოგიური რუკები.

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს, ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას დაევალა წელს შეიმუშაონ ღონისძიებანი განუწყვეტელი ეკოლოგიური განათლებისა და აღზრდის ორგანიზაციისათვის, საყოველთაო ეკოლოგიური სწავლების მოსაწყობად.

დადგენილება ითვალისწინებს აგრეთვე სხვა კონკრეტულ ღონისძიებებს რესპუბლიკის ეკოლოგიური მდგომარეობის გასაჯანსაღებლად.

დამტკიცდა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანე“

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანის“ დებულება, სტრუქტურა და რესპუბლიკის სახელმწიფო არქივების ქსელი.

ეს გაერთიანება არის სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკური ორგანო, რომელიც თავისი საქმიანობით ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, და თავისი კომპეტენციის ფარგლებში არის დოკუმენტურ ძეგლთა დაცვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო რესპუბლიკაში.

„მემატიანე“ ახორციელებს საარქივო საქმის დარგობრივ და დარგთაშორის მართვას, განაგებს სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტებს, რომლებიც დაცულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო და საუწყებო არქივებში და პასუხისმგებელია რესპუბლიკაში საარქივო საქმის მდგომარეობის, შემდგომი განვითარების სრულყოფისა და ამ დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის.

„მემატიანეს“ მთავარი ამოცანებია სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო არქივების დაკომპლექტებისა და მათში დაცული დოკუმენტების ორგანიზაცია; სახელმწიფო მართვა ისტორიისა და კულტურის დოკუმენტურ ძეგლთა დაცვისა და გამოყენების დარგში; სამეცნიერო და მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია და კოორდინაცია არქივთმცოდნეობის, დოკუმენტმცოდნეობისა და არქეოგრაფიის დარგში; მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგებისა და მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვა რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა მუშაობის პრაქტიკაში; ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა საუწყებო არქივების საქმიანობასა და სამინისტროთა, უწყებათა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა საქმის წარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციისადმი; საარქივო საქმის დარგში მოწინავე სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების გავრცელება, საარქივო საქმის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის წინადადებათა შემუშავება და სხვა.

საქინფორმი.

წერილი რედაქციას

ღია წერილი გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

1991 წლის 9 თებერვალს თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა პუბლიკაცია, რომელიც შეიცავს ცილისწამებებს ჩემზე და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, რომ „საქართველოს რესპუბლიკა“ ერთგული მემკვიდრეა გაზეთ „კომუნისტის“ ტრადიციების.

მე მოვითხოვე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივის გახსნა და ამ მასალების სპეციალური კომისიისათვის გადაცემა. ამ კომისიაში უნდა ყოფილიყვნენ ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს წევრები, ასევე ინტელიგენციის წარმომადგენლები, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ფალსიფიკაციის ყოველგვარი მცდელობაც კი (სწორედ ამ კომისიას უნდა გამოექვეყნებინა ყველა მასალა).

სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა და თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა გაყალბებული მასალები, თან ვითომცდა ჩემი ხელით დაწერილი, სრული კატეგორიულობით ვაცხადებ, რომ ეს არის სიყალბე და ამის გამო მე მოვითხოვ საერთაშორისო ექსპერტებს (თქვენს ექსპერტებს, ბუნებრივია, არ ვენდობი).

მე თავის მართლებას არ ვაპირებ, რადგან მართალი ვარ საკუთარი თავის წინაშე.

ცოტა მეტი ფანტაზია და წარმოსახვის უნარი, „მეგობრებო“!

გიორგი ჭანტურია
9.II.91.

დღეს გთავაზობთ წინა ნომერში გამოქვეყნებულ ცნობებიდან ერთ-ერთს და რამდენიმე ახალ ცნობას, ბ-ნ გიორგი ჭანტურიას მიერ დაწერილს. გთავაზობთ, უბრალოდ, შესადარებლად. ჩვენ ექსპერტები არა ვართ, ვერაფრის მტკიცებას ვერ დავიწყებთ. ბ-ნ გიორგისა არ იყოს კი, მართლა ძალიან ვართ მოწადინებული, გაირკვეს სრული ჭეშმარიტება. ამას ყველანაირად შევუწყობთ ხელს და თუ ჭეშმარიტების გარკვევისას გავმტყუნდებით, გაზეთი „კომუნისტს“ კი არა, ჯოჯოხეთს უნდა შევადაროთ.



განცხადება

21/VI-85

განცხადება

30.08.83



განცხადება

გთხოვთ, მომცეთ უფლება, რომ ჩემი ოჯახის წევრებს გადავცე ის ნივთები, რომლებიც მე აქ არ მჭირდება (ტანსაცმელი). ასევე, მივიღო ჩემი ოჯახიდან შარვალი, პერანგი და შვიდი ფოტოსურათი, რომლებიც წელიწადნახევარია არ მინახავს.

პატივისცემით: ჭანტურია

1.04.85

След. изолятор КГБ Груз. ССР
3.IV—1985 г. Вх. №

ხელწერილი

Исполнено.
Выше указанные вещи проверил и вручил
Пономарев

Кому ______ 197 г. ______ №______

ამონაწერი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან	ВЫПИСКА ИЗ ПРОТОКОЛА ЗАСЕДАНИЯ ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР

1985 г. 29 августа протокол № 5

УКАЗ
ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР
О помиловании осужденных

ЧАНТУРИЯ Георгия Отаровича, 1959 года рождения, осужденного 10 августа 1983 года Тбилисским городским судом, помиловать, заменив ему неотбытый срок наказания условным, с испытательным сроком на один год.

Председатель Президиума Верховного Совета Грузинской ССР П.Гилашвили

Секретарь Президиума Верховного Совета Грузинской ССР Т.Лашкарашвили.

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოთა არჩევნების ტერიტორიულ და საქალაქო საარჩევნო კომისიებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნულ წევრთა სია

(გაგრძელება)

ამბროლაურის

თავმჯდომარის მოადგილე— **გაბისიანი** ბორის აბიბის ძე — ელექტრო განათების უფროსი ინჟინერი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება

წევრები

სხირტლაძე დავით გიორგის ძე — კულტსახლის მუშაკი. საქართველოს ჰელსინკის კავშირი

სულამანიძე შალვა ილიას ძე— ჟურნალ „ტყიბულის“ რედაქციის თანამშრომელი, ეროვნული ფრონტი, რადიკალური კავშირი

დვალი გიორგი დიომიდეს ძე — კლუბ „რაჭის“ პრეზიდენტი. უპარტიო

კობახიძე მარინე კარლოს ასული — ამბროლაურის ცენტრალური საავადმყოფოს ექიმი, უპარტიო

ასპინძის

თავმჯდომარის მოადგილე — **ლექიშვილი** მერაბ ალექსანდრეს ძე — ასპინძის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტის და ექსპლოატაციის საწარმოს დამხმარე მეურნეობის მუშა, წმინდა ილია მართლის საზოგადოება

წევრები

ზედგენიძე ემზარ თედოს ძე— დროებით უმუშევარი, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება

ახვანიძე რეზო იაზონის ძე — დაბა ასპინძის ავტოსადგურის უფროსი, ეროვნული ქრისტიანული პარტია

მელიქიძე იზოლდა ზაალის ასული — ასპინძის სამუსიკო სკოლის პედაგოგი, უპარტიო

ბერიძე რუსუდან შიოს ასული — ასპინძის ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი, კომპარტიის წევრი

ახალგორის

თავმჯდომარის მოადგილე — **ოდიშვილი** ჯემალ ვახტანგის ძე — ლარგვისის კოლმეურნეობის წევრი, უპარტიო

წევრები

ონიაშვილი თემურ გაიოზის. ძე — სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, წმინდა ილია მართლის საზოგადოება

იათაშვილი ნანა აკაკის ასული — სტუდენტი, უპარტიო

ხალიბეგაშვილი ლამარა შოთას ასული — იკოთის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო

ახალქალაქის

თავმჯდომარის მოადგილე — **ცინცქალაძე** ირადიონ ლევანის ძე — აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე, კომპარტიის წევრი

წევრები

გილოიანი ვალოდია ვართანის ძე —სკოლა-ინტერნატის დირექტორი, კომპარტიის წევრი

აირაპეტიანი არუთინ მესროპის ძე — განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე, კომპარტიის წევრი

ახრამიანი ზინაიდა პეტრეს ასული — რაიაღმასკომის ინსტრუქტორი, უპარტიო

მიქელაძე ვიქტორ სარდიონის ძე — ს. ოკმის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, უპარტიო

ახალციხის

თავმჯდომარის მოადგილე — **ხვანიძე** ნინო გრიგოლის ასული — ახალციხის № 1 საშუალო სკოლის პედაგოგი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება

წევრები

მამუკაშვილი ვახტანგი კლიმენტის ძე — ახალციხის საშენ მასალათა კომბინატის ეკონომისტი, ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი

ჭელიძე ზურაბ სიმონის ძე — ინჟინერი, მერაბ კოსტავას საზოგადოება

მამუკაშვილი პავლე ედუარდის ძე — საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორი, კომპარტიის წევრი

მესხიშვილი პავლე გიორგის ძე № 2665 სატვირთო ავტოკოლონის მთავარი ინჟინერი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი

ახმეტის

თავმჯდომარის მოადგილე — **რუხაძე** ნუგზარ იპოლიტეს ძე— ინჟინერი, დროებით უმუშევარი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი

წევრები

გიგაური ელიზბარ არჩილის ძე სოფელ ქისტაურის სკოლის პედაგოგი, მერაბ კოსტავას საზოგადოება

ფშაველაშვილი დავით ნიკოლოზის ძე — კავშირგაბმულობის რადიოკვანძის სადგურის ინჟინერი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება

ნონიაშვილი შოთა ლადოს ძე — ახმეტის სატყეო მეურნეობის მთავარი ბუღალტერი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი

ყიზილაშვილი იოსებ ზურაბის ძე — კოოპერატივ „მაღრანის“ თავმჯდომარე, ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი

ბაღდათის

თავმჯდომარის მოადგილე— **გოგსაძე** თემურ აკაკის ძე — № 5 მოძრავ-მექანიზებული კოლონის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება

წევრები

ნაკაშიძე მაყვალა რევაზის ასული — ექიმ-თერაპევტი. დროებით უმუშევარი, ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი

კუპუხიძე ვალერი ვლადიმერის ძე — ბაღდათის რაისაბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი, კომპარტიის წევრი

ჯანელიძე აზა ლევანის ასული— № 5 მოძრავ-მექანიზებული კოლონის საწარმოო ტექნიკური განყოფილების ინჟინერი, უპარტიო

ყიფიანი დემურ ნიკოლოზის ძე — იურისტი. დროებით უმუშევარი, უპარტიო

(გაგრძელება იქნება)

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის შესაბამისად 1991 წლის 3 თებერვალს №78 ლენტეხის, №88 აბაშის და №125 ახალგორის საარჩევნო ოლქებში ჩატარდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად.

ჩატარებული არჩევნების შედეგად:

№88 აბაშის საარჩევნო ოლქში დეპუტატად არჩეულია კონსტანტინე ფირცხალავა — დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი.

№ 125 ახალგორის საარჩევნო ოლქში დეპუტატად არჩეულია აკაკი მათიაშვილი — ქართველ ტრადიციონალისტთა წევრი. წარადგინა საარჩევნო ბლოკმა — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“.

№78 ლენტეხის საარჩევნო ოლქში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. ამ ოლქში მოეწყობა ხელახალი ხმის მიცემა. დეპუტატის მანდატისათვის ბრძოლას განაგრძობენ ბერდია გუგავა და ალვერდი ჩარჩილიანი — დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატები.

საქინფორმი.

დეპუტატის მოსაზრებები

ერთმა ქართველმა ქალმა, ჭეშმარიტად პატივსაცემმა მოქალაქემ, ცხრა შვილის დედამ გაცხარებულმა გვკითხა დეპუტატებს:

— ნუთუ არ შეიძლება, რომ მრავალშვილიანი დედებისათვის სპეციალური სასურსათო მაღაზია იყოს, სადაც მივიდოდით და ტალონებს გავანაღდებდით? შვილებს მოვუაროთ, თუ ამაოდ ვირბინოთ მაღაზიიდან მაღაზიაში.

— რატომა ცხარობთ, გვთხოვეთ და არ გაგიკეთეთ-მეთქი? — ვკითხე, ცოტა არ იყოს ნაწყენმა.

იმიტომ ვიწყინე, რომ ვიფიქრე: ჩვენ ხომ ისედაც მზადა ვართ, რომ დავეხმაროთ, გაცხარებული რატომ გვიტევს-მეთქი.

ვაღიარებ, არ ვიყავი მართალი.

თუკი თავის დროზე კომუნისტებმა მოიფიქრეს, რომ თავიანთი ძვირფასი ხალხისთვის — პარტიის ვეტერანებისთვის სპეციალური მაღაზიები გახსნეს, ჩვენ, მით უმეტეს, უნდა ვიფიქროთ იმ ადამიანებზე, ვინც მართლაც მადლობისა და პატივისცემის ღირსია.

ზურაბ პეტრიაშვილი.

საკუთარ სახლში

შევუნარჩუნოთ მომავალ თაობებს

დიდი დავით აღმაშენებლის მოხსენიების წინა დღეს თბილისში გაიმართა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VIII ყრილობა. მან განიხილა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოსა და საზოგადოების სარევიზიო კომისიის ანგარიშები.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს ისტორიისა და ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა ირაკლი ციციშვილმა.

კამათში მონაწილეობა მიიღო დარგის ოცამდე მუშაკმა, მეცნიერმა, მშენებელმა, ძეგლთა დაცვის სამსახურში მყოფმა სხვა პროფესიის წარმომადგენელმა. ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ დღეს, ქართველი ერისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემათა გადაწყვეტის ჟამს, როდესაც გულდაჯერებით, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიკვლევთ გზას სახელმწიფოებრიობის აღდგენის, სუვერენიტეტის მოპოვებისაკენ, ყოველი ჩვენგანის ერთობლივმა სასიკეთო ძალისხმევამ უნდა გაგვიკვალოს ეს მეტად ძნელი და რთული გზა სასურველი მიზნისაკენ — დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი საქართველოსაკენ.

საანგარიშო პერიოდში, მიუხედავად მეტად რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისა და ეკონომიკური არასტაბილურობისა, საზოგადოებამ გამონახა საშუალება, რათა საკუთარი სახსრებით აღედგინა 20-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი და თავისი წვლილი შეეტანა ერის სულიერი ცხოვრების აღორძინებაში. ყურადღება ექცეოდა არა მარტო ხუროთმოძღვრულ ძეგლთა აღდგენა-გამაგრებას, არამედ არქეოლოგიურ ძეგლთა კვლევას, ხალხური ხუროთმოძღვრების, ტრადიციული რეწვის სახეობათა მოვლა-პატრონობას. მოეწყო ქართული ხალხური რეწვის და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების გამოფენები. 27 წლის შემდეგ მინისტრთა საბჭომ ოფიციალური რეაგირება მოახდინა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „ძეგლის მეგობრის“ არსებობაზე და ჩამოყალიბდა ჟურნალის დამოუკიდებელი რედაქცია. საზოგადოება აწყობდა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, სემინარებს, საღამოებს, გამოიცა თემატური პლაკატები, ბიულეტენი — „დარბაზი“, დაწესდა და აღინიშნება მასობრივი დღესასწაული „ძეგლის მეგობრის დღე“.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოება ეწოდა ფართო საქველმოქმედო მოღვაწეობას. მან 400 ათასზე მეტი თანხა გაიღო აჭარის, სვანეთის, სომხეთის სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად და გადაურიცხა სხვადასხვა ფონდებს.

ყრილობის დელეგატებმა აირჩიეს საზოგადოების ახალი ორგანო-სათათბირო, რომლის შემადგენლობაში შევიდა 93 კაცი და 25-კაციანი მრჩეველთა საბჭო; სათანადო შესწორებების შემდეგ დაამტკიცეს საზოგადოების ახალი წესდება.

გაიმართა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პირველი სხდომა.

რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ირაკლი ციციშვილი, თავმჯდომარის მოადგილედ — გივი პაპალაშვილი, პასუხისმგებელ მდივნად — მაია ასანიძე.

(საქინფორმი).

ქართული ფეხბურთი

დარღვევები და „რეფორმები“

როგორც თქვენთვის, ცნობილია, ძვირფასო ფეხბურთის გულშემატკივარნო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საექსპერტო კომიტეტმა და საქართველოს უზენაესი საბჭოს შესაბამისმა საპარლამენტო კომისიებმა გააფრთხილეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ფედერაციის წესდებისა და ეროვნული ჩემპიონატის საშეჯიბრებო დებულების დარღვევის გამო. ყოველივე ამის პასუხად ფედერაციის პრეზიდენტმა ბატონმა ნოდარ ახალკაცმა გაზეთ „ქართულ ფეხბურთში“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ზოგიერთი მოსაზრებანი“, სადაც უკმაყოფილება გამოთქვა საექსპერტო კომიტეტისა და საპარლამენტო კომისიების მიმართ და უარყო ბრალდება წესდებისა და დებულების დარღვევის შესახებ.

ამ საკითხზე მე, როგორც საშეჯიბრებო განყოფილების უფროსს, ბუნებრივია, მაქვს ჩემი აზრი, რომელიც ასე შემიძლია ჩამოვაყალიბო: თუ ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის საშეჯიბრებო დებულების მეოთხე თავის მეხუთე მუხლი დაირღვევა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტყუილად გვიზეიმია: პირველი ეროვნული ჩემპიონატი არ ჩატარებულა.

საშეჯიბრებო დებულების მეოთხე თავის მეხუთე მუხლში წერია: „1990 წლის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ბოლო ორ ადგილზე გასული გუნდები 1991 წელს გადაყვანილ იქნებიან პირველ ლიგაში, ხოლო პირველ ლიგაში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები გადავლენ უმაღლეს ლიგაში“. ბოლო ადგილზე უმაღლეს ლიგაში ცხინვალის „ლიახვი“ გავიდა. ეს გუნდი გათამაშების დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე მოიხსნა და ამიტომ მისი საკითხი აღარ განხილულა. მეჩვიდმეტე ადგილზე გასული ოჩამჩირის „ამირანი“ დებულების მიხედვით პირველ ლიგაში უნდა გადავიდეს, მაგრამ პრეზიდენტს სურს, რომ უმაღლეს ლიგაში დატოვოს. რაც შეეხებათ პირველი ლიგის გამარჯვებულებს ვანის „სულორს“ და ზესტაფონის „მარგვეთს“, ისინი დამსახურებულად გადადიან უმაღლეს ლიგაში, მაგრამ პრეზიდენტს რატომღაც მესამე ადგილზე გასული გურჯაანის „ალაზანიც“ გადაჰყავს უმაღლეს ლიგაში...

მივყვეთ ისევ დებულებას: „1990 წელს პირველ ლიგაში ბოლო სამ ადგილზე გასული გუნდები 1991 წელს გადავლენ მეორე ლიგაში, მათ ადგილებს 1991 წელს პირველ ლიგაში დაიკავებენ 1990 წელს მეორე ლიგის ქვეჯგუფებში გამარჯვებულნი“.

1990 წელს პირველ ლიგაში ბოლო სამ ადგილზე ყვარლის „დურუჯის“, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდები გავიდნენ, მაგრამ პრეზიდენტს სამივე გუნდი ისევ პირველ ლიგაში უნდა რომ ჰყავდეს.

თქვენ ალბათ ფიქრობთ, აქ დამთავრდა ყველაფერიო. არა, ჯერ სადა ხართ. მივყვეთ დებულებას: „მეორე ლიგის ქვეჯგუფებში ბოლო ადგილზე გასული გუნდები დასტოვებენ მეორე ლიგას და გადავლენ შესარჩევ პირველობაზე, მათ ადგილებს კი შესარჩევ პირველობებზე გამარჯვებული სამი გუნდი დაიკავებს“.

მეორე ლიგის ქვეჯგუფებში ბოლო ადგილზე გავიდნენ: წალკის „თრიალეთი“, აჭყურის „სამცხე“ და სოხუმის „გორდა“, მაგრამ თუ ისინი თვითონ არ მიატოვებენ თამაშს, მათი „გაძევება“ პრეზიდენტს აზრადაც არ მოსდის.

შესარჩევ პირველობებზე გამარჯვებულმა სამმა გუნდმა ვაზისუბნის „ვაზმა“, თბილისის „ანცამ“ და წალენჯიხის „ზღვაიამ“ დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოიპოვეს მეორე ლიგის საგზური, მაგრამ როგორი იყო მათი გაკვირვება, როდესაც შეიტყვეს, რომ ტყუილად უბრძოლიათ. პრეზიდენტს არამც თუ შესარჩევი პირველობის ქვეჯგუფებში მეორე-მესამე ადგილებზე გასულნიც შეჰყავს მეორე ლიგაში, არამედ ნებისმიერი ჯგუფის ნებისმიერ ადგილზე გასულნიც. ამათ ვინ ჩივის, გამოაცხადა, რომ ამ ლიგაში მიიღებს ნებისმიერ გუნდს, განურჩევლად იმისა, მონაწილეობდა თუ არა გუნდი შესარჩევ პირველობაზე, ოღონდ კი გუნდმა ფედერაციას გადაუხადოს 25 000 მანეთი...

ამ 25 ათასმა მანეთმა გამახსენა, პრეზიდენტი ზემოთ აღნიშნულ ოჩამჩირის „ამირანს“ 40 ათას მანეთს გადაახდევინებს უმაღლეს ლიგაში დატოვების საფასურად. 60 ათასი მანეთი დაუჯდება უმაღლეს ლიგაში გასვლა გურჯაანის „ალაზანს“, ხოლო პირველ ლიგაში ყვარლის „დურუჯს“ 30 ათას მანეთად ტოვებენ. რადგან შედარებით ღარიბები არიან ფიზკულტურის ინსტიტუტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდები პირველ ლიგაში დარჩენისათვის, მხოლოდ 15-15 ათას მანეთს იხდიან.

ახია ამათზე. ვერ თამაშობ ფეხბურთს? მაშინ დადე „მაყუთი“!

ერთი სიტყვით, „რეფორმების“ საბაბით შეგიძლია დაარღვიო დებულება და აკეთო ფულები. აი, ასეთი აზრი შეგვიძლია გამოვიტანოთ ფედერაციის გენერალური მდივნის მიერ გაზეთ „ქართული ფეხბურთისათვის“ მიცემული ინტერვიუდან.

ძვირფასო მკითხველო, ახლა თქვენთან ბოდიშის მოხდით, უშუალოდ ბატონ პრეზიდენტს მივმართავ.

ბატონო ნოდარ, რომ აცხადებთ ქართული ფეხბურთის შემდგომი განვითარებისათვის გვინდა დებულების შეცვლა (**შეცვლა** და **დარღვევა** აურიეთ რატომღაც ერთმანეთში) და რეფორმებიო, ეს ხომ დემაგოგიაა. ქართული ფეხბურთის შემდგომი განვითარებისათვის ზრუნვა სწორედ ის იქნებოდა, თუ დებულებას განუხრელად დაიცავდით.

თუ კი რამე სჭირს ქართულ ფეხბურთს (და არა მარტო ფეხბურთს), ეს სწორედ კანონიერებისა და ზნეობის დეფიციტია.

თქვენ აცხადებთ, რომ ქართულ ფეხბურთში საჭირო რეფორმების გასატარებლად იძულებული ხართ შეცვალოთ (დაარღვიოთ) დებულება.

მართლა ასეა?

შემიძლია დაგისაბუთოთ, რომ თქვენი რეფორმები დებულების დაურღვევლადაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო.

თქვენს მიერ შემოთავაზებული რეფორმების არსი ასეთია: გაზაფხულ-შემოდგომის სეზონი შეიცვალოს შემოდგომა-გაზაფხულის სეზონით, ხოლო უმაღლესი და პირველი ლიგებისათვის ოპტიმალურად მიგაჩნიათ ოც-ოცი გუნდი. შემოდგომა-გაზაფხულის სეზონზე გადასასვლელად გვთავაზობთ ე. წ. გადასასვლელ ანუ ერთწრიან ჩემპიონატს, რომელიც დაიწყება მარტში და დამთავრდება ოთხი თვის შემდეგ, ივნისში.

ბატონო პრეზიდენტო, იმისათვის რომ კანონიერად, ანუ დებულების დარღვევის გარეშე განგეხორციელებინათ თქვენი რეფორმები, ფედერაციას ჯერ უნდა შეესრულებინა მოქმედი დებულების მეოთხე თავის მეხუთე მუხლი, რომლის თანახმად პირველი ჩემპიონატის შემდეგ უმაღლეს ლიგაში დარჩებოდა 18 გუნდი (რა თქმა უნდა, ოჩამჩირის „ამირანისა“ და გურჯაანის „ალაზანის“ გარეშე), პირველ ლიგაში — 19 გუნდი (სამწუხაროდ, როგორც ვიცით, ველარ აგრძელებს თამაშს ცხინვალის „ლიახვი“), მეორე ლიგის სამ ქვეჯგუფში — შესაბამისად 20, 20 და 21 გუნდი. შემდგომ ამისა კი ფედერაციას უნდა მიეღო ახალი დებულება, რომლითაც ჩატარდებოდა ის თქვენი გადასასვლელი ოთხთვიანი ჩემპიონატი და რომელიც უზრუნველყოფდა იმ ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ უმაღლეს და პირველ ლიგაში ოც-ოცი გუნდის თამაშს.

ამრიგად, აგვისტოში უკვე ყველა ლიგაში ოც-ოცი გუნდით შეუდგებოდით მესამე ჩემპიონატს. ეს იქნებოდა დებულების შეცვლა და არა დარღვევა! ლიგებშიც ოც-ოცი გუნდი იქნებოდა, შემოდგომა-გაზაფხულის სეზონზეც გადახვიდოდით და მოდავე და მომჩივანიც არავინ გეყოლებოდათ. მითუმეტეს, რომ ეს წინადადება არაერთგზის შემოგთავაზათ ოპოზიციამ ანუ წესდებისა და დებულების დაცვის მომხრეთა ჯგუფმა, მაგრამ თქვენ ეს არ ისურვეთ!

ნუთუ ოთხი თვის დაგვიანება დაღუპავდა თქვენს რეფორმებს?

შესაძლოა ამ მოკლე ჩემპიონატის შემდგომ „ამირანი“ და „ალაზანი“ ვერ „მოხვედრილიყვნენ უმაღლეს ლიგაში, იქნებ ვერც „დურუჯი“ და ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდები აღმოჩენილიყვნენ პირველში, მაგრამ ამას რა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა?! მთავარი ხომ ისაა, რომ უმაღლეს და პირველ ლიგებში ოც-ოცი გუნდი ითამაშებდა! მაგრამ თქვენ რატომღაც პირველი ეროვნული ჩემპიონატის გამასხრების ხარჯზე მოინდომეთ თქვენი „რეფორმები“.

ახლა კი ვნახოთ, რას წარმოადგენს თვითონ „რეფორმები“.

საფეხბურთო ჩემპიონატი რომ ჩავატაროთ, საჭიროა გათამაშების კალენდარი, რომელსაც სეზონის ჩატარების პერიოდის, გუნდების რაოდენობისა და სათამაშო ციკლის ურთიერთმიმართება განსაზღვრავს.

განხილვა დავიწყოთ გუნდების რაოდენობით.

ბატონო ნოდარ, ალალადა თქვით, ნუთუ მართლა ფიქრობთ, რომ დღეს საქართველოს უმაღლეს ლიგაში 20 გუნდი სჭირდება? მახსოვს, შარშან ეროვნული ჩემპიონატის დაწყების წინ მთელი საზოგადოება წინააღმდეგი იყო 18 გუნდისა და სამართლიანად მიიჩნევდა, რომ გუნდების ზედმეტი სიმრავლის გამო მატჩების გარკვეული რაოდენობა უინტერესო გახდებოდა, რადგან გუნდების დონე შესამჩნევად განსხვავებული გვექნებოდა. კარგად იცით, რომ სეზონის ბოლოს რამდენიმე აუტსაიდერი გუნდის შინ თამაში ომსა ჰგავდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მახსოვს (რა დამავიწყებს!) სეზონის ბოლოს მსაჯებს ველარ ვეუბნებოდი აუტსაიდერი გუნდების ქალაქებში წასულიყვნენ სამსაჯოდ. თქვენც იცით და სხვებმაც კარგად იციან, რომ ეს იმდენად სუსტი გუნდების ბრალი არ იყო, რამდენიც ფედერაციისა, იმდენად განსხვავებული დონის გუნდები ვათამაშეთ ერთ ლიგაში, რომ სუსტები იძულებული გახდნენ არასაფეხბურთო ხერხებით ებრძოლათ. შარშანდელი მაგალითებით ჭკუა უნდა გვესწავლა, მაგრამ პირიქით ხდება, აუტსაიდერთა ლეგიონს კიდევ უფრო ვზრდით. დავფიქრდეთ, რატომ არ არის ინციდენტები, როდესაც „იბერია“ და „გურია“ ხვდებიან ერთმანეთს, ან „გორდა“ — „გურია“, „გორდა“ — „იბერია“ და სხვა თანაბარი ძალის გუნდები თამაშობენ...

ევროპის ქვეყნების ჩემპიონატები ვნახოთ. სულ ოთხ ქვეყანას ჰყავს 20 გუნდი. ესენი არიან: ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი და პორტუგალია. 18 გუნდი ჰყავთ იტალიას, გერმანიას, ჰოლანდიას, ბელგიას, საბერძნეთს და რუმინეთს. 16 გუნდი ჰყავთ: თურქეთს, ბულგარეთს, პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას და უნგრეთს. 14 გუნდი ჰყავს დანიას, 12 — შვედეთს, შვეიცარიას და ავსტრიას, 10 გუნდი ჰყავს შოტლანდიას.

ახლახან ჩვენს პრესაში ცნობაც გამოჩნდა, რომ უეფას ექსპერტების აზრით ფეხბურთს მაყურებელი აკლდება და კრიზისიდან გამოსავალს მხოლოდ გუნდების რიცხვის შემცირებაში ხედავენ!

რა დიდი მიხვედრა უნდა, რომ რაც უფრო ბევრია ლიგაში გუნდი, მით უფრო ბევრია სუსტი გუნდი. ნაკლებია, წმინდა სათამაშო თვალსაზრისით დაძაბული მატჩები და აქედან გამომდინარე, მაყურებელთა ინტერესიც.

არგუმენტად მოგყავთ, ორი გუნდი რომ დაემატება, ოთხი თამაშით მეტს ითამაშებენ გუნდებიო.

თუ მეტი თამაში გვინდა, სხვა საშუალება ვერ მოვძებნეთ? ფიფა-ში გაწევრიანებამდე შეგვეძლო კიდევ ერთი დამატებითი თასის გათამაშება ჩაგვეტარებინა, ინგლისის მსგავსად, სადაც სეზონში ორი სხვადასხვა თასი თამაშდება. ამ თასის გათამაშება ისე შეიძლება დავგეგმოთ, რომ გუნდებმა დამატებით ოთხი თამაშიც ჩაატარონ და მეტიც. მაგრამ თქვენ ეს რატომღაც არ მოგწონთ...

ბატონო ნოდარ, თქვენ უმაღლესი ლიგის გუნდების რიცხვის გაზრდა გინდათ ოცამდე, მე კი მგონია რომ 1992 წლის სეზონში თექვსმეტზე უნდა ჩამოვიდეთ და თუ ვნახეთ, რომ კიდევ გვყავს აშკარად სუსტი გუნდები, კიდევაც შეიძლება შევამციროთ გუნდების რაოდენობა.

მახსოვს ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი რუდი კროლი „ნაპოლიში“ რომ გადადიოდა, გადასვლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, ამასაც ასახელებდა: იტალიის ჩემპიონატში საშეჯიბრებო ტონუსია მაღალიო. არ შეიძლება არ დაეთანხმო, მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს სრული დატვირთვით რომ თამაშობ, ყოველი მატჩი რომ დაძაბულია. ამ ყველაფერს მტკიცებაც არ უნდა. ეს ხომ ყველასათვის ნათელია.

ახლა, რაც შეეხება სათამაშო ციკლს. ევროპას რომ გვინდა დავემსგავსოთ, ევროპაში ხომ თითქმის ყველგან კვირაში ერთხელ, შაბათს ან კვირა დღეს თამაშობენ ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებს, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ თამაშები დაინიშნოს დღის საათებში და ერთსა და იმავე დროს. მცოცავი სათამაშო ციკლი, რომელსაც თქვენ გვთავაზობთ, ე. ი. თამაშების ჩატარება არა უქმე დღეებში, იმას ნიშნავს, რომ ან უნდა ითამაშო ხელოვნურად განათებულ მოედანზე, რაც მთელს საქართველოში მხოლოდ რამდენიმე სტადიონს თუ გააჩნია, ან ისეთ საათებში, როდესაც ხალხი სამსახურშია და ფაქტობრივად უმაყურებლოდ ტარდება მატჩი, განათებაზე ლაპარაკისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რესპუბლიკა ენერგეტიკულ კრიზისს განიცდის და სასურველია დავზოგოთ ელექტროენერგია და თამაში დღის სინათლეზე დავნიშნოთ, რის საშუალებასაც გვაძლევს უქმე დღეებში თამაშების ჩატარება.

უქმე დღეებში თამაშების ჩატარება მოსახერხებელია მსაჯებისთვისაც, ბევრი მათგანი სამუშაო დღეებში ვერ სტოვებს სამსახურს და ვერ მიდის სხვა ქალაქში სამსაჯოდ, მაშინ როცა უქმე დღეებში სიამოვნებით წავა და იმსაჯებს. შაბათ-კვირას თამაშების ჩატარება წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციაა საქართველოში და ამ ტრადიციას გაფრთხილება სჭირდება. საჭიროა ფეხბურთის მოყვარულთა ცნობიერებაში მყარად იყოს დაკავშირებული შაბათი და კვირა ფეხბურთის მატჩთან, ამით შესაძლოა ჩვენს რაიონებში უშნოდ ფეხმოკიდებულ ღრეობასაც გარკვეულწილად გამოვაცალოთ საფუძველი.

ახლა კი სეზონის შესახებ.

რომელი სჯობია, „გაზაფხულ-შემოდგომა“, როგორც ჩვენ მთელი ისტორიის მანძილზე ვთამაშობდით, თუ „შემოდგომა-გაზაფხული“, რომელსაც თქვენ გვთავაზობთ.

ჯერ ვნახოთ რა დადებითი მხარე შეიძლება ჰქონდეს ჩვენთვის შემოდგომა-გაზაფხულის სეზონს. სახელით ასეთი სეზონი ევროპისას ემსგავსება. მასავით ჩვენც თითქოს შემოდგომა-გაზაფხულის სეზონს ვატარებთ და აქედან გამომდინარე ივნისში გამოვლენილი ჩემპიონი და თასის მფლობელი ორი თვის შემდეგ უკვე ევროპულ ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას (რა თქმა უნდა, ეს მაშინ, როცა ფიფას წევრები გავხდებით).

ახლა ვნახოთ, რა სირთულეები ახლავს შემოდგომა-გაზაფხულის სეზონს საქართველოში. ბატონო ნოდარ, წერილში თქვენ განაცხადეთ, რომ შემოდგომა-გაზაფხულის სეზონის ჩასატარებლად კლიმატი გვიწყობს ხელსო. განა ეს მართლაც ასეა? განა საქართველოში ვინმეს უხარია თამაში ან თამაშის ყურება ნოემბრის მეორე ნახევარში, დეკემბერში, იანვარში, თებერვალში, მარტში? განა საერთოდ შეიძლება თამაში ამ პერიოდში? თანაც ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველო მარტო თბილისი, რუსთავი და კოლხეთის დაბლობი არ არის. საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა და თუ ამ პერიოდში თამაშს ვაპირებთ, მაშინ ფეხბურთის თამაშზე სამუდამოდ უარს ვეუბნებით მესხეთს, ჯავახეთს, ქვემო ქართლს, შიდა ქართლისა და კახეთის მთელ რიგ რაიონებს, ზემო იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმს, მთიან სამეგრელოს, გურიას, მთიან აჭარას, აღარას ვამბობ საქართველოს მთის კუთხეებზე. ამას დავამატოთ ჩვენი ტრანსპორტისა და სათამაშო მოედნების მდგომარეობა, მათი მომსახურების დონე და ყველაფერი ნათელი გახდება. ამ თვეებში ჩვენ ვერ ვითამაშებთ!

ძვირფასო მკითხველო, არ იფიქროთ, თითქოს ბატონმა პრეზიდენტმა ეს ამბავი ჩვენზე ნაკლებად იცოდეს. შემოდგომა-გაზაფხულის სეზონს არქმევს, თორემ სათამაშო თვეებს იგივესა სტოვებს. მისი გეგმით პირველი წრე დაიწყება აგვისტოში და დამთავრდება 15 ნოემბერს. შემდეგ ოთხ (!) თვეს ისვენებენ ფეხბურთელები და 15 მარტიდან მეორე წრეს დაიწყებენ, რომელსაც დაამთავრებენ ივნისში. რა უნდა აკეთონ გუნდებმა წრეებს შორის ოთხ თვიანი შესვენების დროს? ეს ხომ ერთ სეზონში ორი ჩემპიონატი გამოდის?!

წრეებს შორის რომ გუნდებს ოთხი თვე ექნებათ შესვენება, რაღა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა გაიარონ მოსამზადებელი პერიოდი, ეს მაშინ, როცა სეზონებს შორის დასვენება იქნება დაახლოებით ერთი თვე — ივლისი.

ახლა ისიც ვნახოთ, იმ თვეებს ნოემბრის მეორე ნახევარს, დეკემბერს, იანვარს, თებერვალს და მარტის პირველ ნახევარს თუ არა ვთამაშობთ, რაღა აზრი აქვს ჩვენი სათამაშო სეზონის სახელის შეცვლას? შემოდგომა-გაზაფხულის სეზონს ხომ ევროპაში იმიტომ ატარებენ, რომ მათ სწორედ იმ ზამთრის თვეებში შეუძლიათ თამაში და ისინი მარტში უეფას ტურნირების მეოთხედფინალებს მზადყოფნაში ხვდებიან. ამავე დროს მათი ცხოვრების მაღალი დონე იძლევა იმ ფუფუნების საშუალებას, რომ ზაფხულში დაისვენონ კურორტებზე და შემოდგომა-ზამთარში კი საშუალება აქვთ ითამაშონ, რადგანაც მათთან მკაცრი ზამთარი არ იცის, ამავე დროს სტადიონები თბება, მინდვრებიც კარგი აქვთ, მომსახურეობის დონეც მაღალია. ერთი სიტყვით, უმაღლესი დონის კომფორტია სტადიონზე შექმნილი. ყოველივე ამის გამო ისინი ახერხებენ ამ პერიოდში თამაშს.

გვეკითხებით, რა აზრი აქვს სეზონის სახელის შეცვლას, თუ ჩვენ ფეხს ვერ ავუწყობთ ევროპას, შემოდგომა-ზამთრის თვეებს ვერ ვითამაშებთ და უეფას ტურნირებში გასვლის შემთხვევაში მეოთხედფინალებისათვის მოსამზადებლად მაინც დაგვჭირდება გუნდების თბილი ქვეყნებისაკენ გაშვება?

აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ ფიფას წევრებიც არიან, ყველა ზემოთ დასახელებულ ტურნირებზეც გამოდიან და არც თუ წარუმატებლად: დანია, შვედეთი, ფინეთი, ისლანდია, ნორვეგია და საბჭოთა კავშირი, მაგრამ გაზაფხულ-შემოდგომის სეზონს თამაშობენ. რამდენჯერმე გერმანიაში და ინგლისშიც იყო ცხარე დებატები სეზონის შეცვლის თაობაზე, რადგან ხშირია უამინდობის გამო თამაშების გადადება. იტალიაში კი ახლახან კინაღამ საერთოდ შეწყვიტეს ჩემპიონატი: უამინდობის გამო მინდვრები უვარგისი გახდაო.

დავუკვირდეთ ხალხო, მინდვრები უვარგისი გახდა იტალიაში, მსოფლიოს საფეხბურთო მექაში და წარმოიდგინეთ ჩვენ რა დღეში ჩავვარდებით, ჩვენთან ხომ სტადიონების უმეტესობაზე ცხელი წყალიც კი არაა.

ყველაფერი ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, აუცილებლად მივალთ დასკვნამდე, რომ საუკეთესო შემთხვევაშიც კი ძალიან დიდ პრობლემებს შეგვიქმნის და გაგვაწამებს ეგ თქვენი შემოდგომა-გაზაფხულის სეზონი, ბატონო პრეზიდენტო, ხოლო უარეს შემთხვევაში კი საერთოდ ვერ ჩავატარებთ ჩემპიონატს. დავფიქრდეთ, ღირს კი მარტო იმისათვის, რომ ევროპას მივბაძოთ, ამდენი ტანჯვა?

თქვენი არ ვიცი, ძვირფასო მკითხველო, მე კი ვერ მაჯერებს საქართველოში შემოდგომა-გაზაფხულის საფეხბურთო სეზონის საჭიროება.

ისიც უნდა ითქვას, რომ გულშემატკივრებში ხმა დადის ეს ე. წ. რეფორმები „სხვა“ მიზნებს ისახავსო. მე კი ამ ყველაფერმა ცნობილი ინგლისელი მწერლის გილბერტ ქიით ჩესტერტონის დეტექტივის „გატეხილი ხმლის“ პერსონაჟების მამა ბრაუნისა და მისი მეგობრის, ფლამბოს საუბარი გამახსენა.

მამა ბრაუნი: სად მალავს ჭკვიანი კაცი ფოთოლს?

ფლამბო: ტყეში.

მამა ბრაუნი: მაგრამ თუ ტყე არ არის, რას შვრება ჭკვიანი კაცი?

ფლამბო:?!

მამა ბრაუნი: ტყეს აშენებს ჭკვიანი კაცი!

ზურაბ პეტრიაშვილი,
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრებო განყოფილების უფროსი, პრეზიდიუმის წევრი.

სხვადასხვა

ახალი მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „ლაშარი“

გამოვიდა ქართველ მწერალთა ახალი მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალის — „ლაშარის“ პირველი ნომერი. მისი დამფუძნებლები არიან საქართველოს საბავშვო ფონდი და ქართველ მწერალთა ასოციაცია „ცოტნე“.

„ლაშარი“ იხსნება რუბრიკით „აკაკი — 150“, სადაც დაბეჭდილია გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „აკაკის ლანდი“.

პოეზიისა და პროზის განყოფილება წარმოდგენილია გურამ დოჩანაშვილის და გოდერძი ჩოხელის მოთხრობებით, როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანით „ბედი პავლე ინგოროყვასი“, ხუტა ბერულავას, ბესიკ ხარანაულისა და ტარიელ ხარხელაურის პოეტური ნაწარმოებებით.

რუბრიკაში „ახალი თარგმანები“ მკითხველი გაეცნობა ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ თარგმნილ კლასიკური სპარსული პოეზიის (რუდაქი, ფირდოუსი, აბუ საიდი, ომარ ხაიამი, ნიზამი განჯელი...) ნიმუშებს და არკადი ავერჩენკოს სატირულ მოთხრობებს, რომელიც თარგმნა ზეინაბ სირაძემ.

კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა წარმოდგენილია გუბაზ გურამიშვილის წერილით სოსო პაიჭაძის მოთხრობაზე „თბილი, გრძნეული წვიმა“ და ნოდარ ტაბიძის გამოკვლევით — გალაკტიონის პოემა „მუანეთა“.

რუბრიკით „ორნატი“ დასტამბულია ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ნიმუშები: გრიგოლ დიასამიძის „დიდი მგოსნის მიპატიჟება რაჭა-ლეჩხუმში“, შალვა ამირეჯიბის „ილიას ერთი პოლემიკა“ და გივი კობახიძის მიერ ჩაწერილი მიხაკო წერეთლის მოგონებანი იაკობ გოგებაშვილსა და ვაჟა-ფშაველაზე.

განყოფილება „მოგონებათა ფურცლები“ გვთავაზობს აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ ფრაგმენტს ცნობილი პედაგოგისა და მწერლის დომენტი თომაშვილის გამოუქვეყნებელი შემოქმედებიდან.

ჟურნალში არის აგრეთვე რუბრიკები: „პარალელები“, „ერთი ლექსის ანალიზი“, „მარგალიტების სალარო“, „ისტორია, კულტურა, ფილოსოფია“, „ახალი წიგნები“, სადაც დაბეჭდილია ლევან ბრეგვაძის, აკაკი ხინთიბიძის, ამირან არაბულის წერილები, ერნსტ ჩენანის „რა არის ერი?“ (ფრანგულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გია ნოდიამ), თემურ იოსებიძის, ლია ყატაშვილისა და ჯარჯი აქიმიძის რეცენზიები.

ჟურნალ „ლაშარის“ მთავარი რედაქტორია კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე თეიმურაზ დოიაშვილი. სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ნიკო ანდრონიკაშვილი, ხუტა ბერულავა, გიორგი გიგაური, დავით გოგოჭური, მუხრან მაჭავარიანი, მიხეილ ქავთარია, თემურ ქორიძე, გურამ შარაძე. პასუხისმგებელი მდივანია ამირან არაბული.

„ლაშარი“ გამოვა ორ თვეში ერთხელ 12 სააღრიცხვო თაბახის მოცულობით.

ვიმედოვნებთ, მკითხველი ინტერესით შეხვდება ქართველ მწერალთა ახალ მხატვრულ-ლიტერატურულ ჟურნალს.

საქინფორმი

საქართველოს რესპუბლიკა

ერთადერთი გაზეთია საქართველოში, რომელიც თითქმის ყოველდღიურად მშობლიურ ენაზე მიაწვდის მკითხველს ახალ-ახალ ინფორმაციებს რესპუბლიკისა და საზღვარგარეთის ცხოვრებაზე.
„საქართველოს რესპუბლიკა“ ჩვენი ხალხის სიყვარულითა და ნათელი მომავლის რწმენით არის დამუხტული.
მისი გამოწერა შეგიძლიათ ყოველი თვის 15 რიცხვამდე.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.
[illegible]